პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
თბილისი, კრუზენ. ქ.
№ 4. მე 3 სართული

მთავარი კანტორა:
თბილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5-43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—20 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 500 ათ. მ.

დღიური

ესენში გაიმართა ნახევარი საათის საპროტესტო გაფიცვა.

ბერლინში გაიმართა ოკუპაციის საწინააღმდეგო დემონსტრაციები.

ოკუპაცია თანდათან ფართოვდება. საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ყველა ნახშირის მაღაროები რურის ოლქში.

ინგლისელი მუშები პროტესტს აცხადებენ ოკუპაციის წინააღმდეგ.

მემელი დაიკავეს ლიტვის ჯარებმა.

პოლიციამ დაპატიმრა „იუმანიტეს" რედაქტორი.

მოსულში [illegible] აჯანყება.

№ 12 ოთხშაბათი, 17 იანვარი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10.000 მან. № 12

18 იანვარს 1923 წ.

ქალაქ ტფილისში საღ. 6 საათ. გაიხსნება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

საგანგებო სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. რაპალოს ხელშეკრულების დამტკიცება—მომხ. (შ. ელიავა).
2. საკავშირო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია—მომხ. (მ. ორახელაშვილი).
3. სახალხო განათლების კომისარიატის მოხსენება—მომხსენებელი (დ. კანდელაკი).
4. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება—მომხსენებელი ვ. სტურუა).
5. მიმდინარე საკითხები.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი

წინადადებას აძლევს ორგანიზაციულ განყოფილებათა გამგეებს

17 იანვ. დღის 3 საათზე გამოცხადდნენ ერთობ-ამიერ-კავკასიის თათბირზე

ორგანიზაციულ საკითხების გასარჩევად.

რ. კ. პ. ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციული განყოფილების გამგე: **იუშკი.**

მიიღება ხელისმოწერა

გაზეთებზე 1923 წლის 1 იანვრისათვის

გაზეთი	რომელ ენაზე	ხელისმოწერის ფასი ერთი ეგზემპლიარი თვეში	
		ჩვეულებ.	კოლექტ.
„კომუნისტი"	ქართული	230.000	100 000
„პრავდა გრუზიი" . . .	რუსული	230.000	100 000
„კარმირ ასტხ"	სომხური	230.000	100.000

მუშებისთვის ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ მუშათაგან იმ პირობით, თუ გაზეთების კანტორაში წარმოდგენილ იქნება ხელისმომწერთა საპირადო სიები, რომელიც შემოწმებული უნდა იქნეს ადგილკომის მიერ. დაწესებულებანი, ქარხკომები, ადგილკომები დაკლებულ ფასებით არ სარგებლობენ. პარტ. დაწესებულებანი, იმ პირობით თუ ხელისმოწერა გაიგზავნება უშუალოდ მთავარ კანტორაში, სარგებლობენ დაკლებული ფასებით.

ცალკე ნომრის ფასი

1923 წ. 1 იანვრიდან იქნება 10 000 მანეთი ყველგან.

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ და მხოლოდ საქ. პარტიულ საბჭოთა პრესის **ცენტრალურ კანტორაში** (გაზეთის ტრესტი) რუსთაველის პრ. 24. დილის 9—2 საათამდე.

1 იანვრიდან გაზეთებში „პრავდა გრუზიი", „კომუნისტი" და „კარმირ ასტღ" განცხადებებზე დაწესებულია შემდეგი ფასი:

ტექსტის შემდეგ 20 ათასი მან. ნონპარელის სტრიქონზე.

ტექსტამდე 40 ათასი მან. ნონპ. სტრ. ან ტექსტის შუა.

მრავალჯერ გასამეორებელ განცხადებისათვის—შეღავათი, საკრედიტო 10 პროცენტით მეტი.

სამგლოვიარო განცხადება 500.000 მან. დღის 1-ლ საათამდე, შემდეგ კი 200 000 მანეთით მეტი

განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ დღის 1-ლ საათამდე.

საქართველოს ცაკ-ის საგანგებო სესია

II

გუშინ ჩვენ შევეხეთ ცაკის საგანგებო სესიის დღის წესრიგის ორ საკითხს—რაპალოს და საკავშირო ხელშეკრულებათა რატიფიკაციას.

მსჯელობის საგნად გახდომა და დადასტურება პირველის იქნება იმის მაჩვენებელი, რომ ჩვენი რესპუბლიკაც, დანარჩენ საბჭოთა ფედერაციასთან ერთად, აქტიური მონაწილეა საერთაშორისო ურთიერთობის.

რატიფიკაცია კი საკავშირო ხელშეკრულების იქნება დემონსტრაცია საბჭოთა ფედერაციის მშრომელთა ერთიანი ფრონტის. სესიის აქტს ზევით აღნიშნულ საკითხების შესახებ ექნება საერთაშორისო მნიშვნელობა.

სულ სხვაა სესიის მუშაობა მისი დღის წესრიგის ორ სხვა საკითხებზე—განათლების და მიწად მოქმედების სფეროში. აქ სესია გაითვალისწინებს ამ დარგებში დღეის არსებულ მდგომარეობას და დასახავს მთელ რიგ კონკრეტიულ ღონისძიებებს, რომელთა გატარება აუცილებელია ამ მოკლე დროში.

სახალხო განათლების დარგი მეტად მტკივნეული ადგილია ჩვენი სინამდვილის და არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ საბჭოთა ფედერაციაში რუსეთში მას უდიდესი ყურადღება ექცევა ბოლო დროს. საბჭოთა მეათე ყრილობამ განსაკუთრებული მსჯელობის საგნად გაიხადა სახალხო განათლების საქმე და მიიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი საგანადო გადაწყვეტილებანი. მას საგანგებო წერილი უძღვნა „მსოფლიო რევოლიუციის მთავარ სარდალმა" ამხ. ლენინმა, რომელი წერილი მოთავსებული გვქონდა ჩვენს გაზეთშიც.

საკითხი სახალხო განათლების შესახებ მრავალ მხარეს და მომენტებს შეიცავს.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს სწავლა-განათლების იდეურ მხარესთან, პედაგოგიურ პრინციპებთან, განათლების ორგანიზაციულ ფორმებთან, პედაგოგიურ პერსონალის შემადგენლობასთან ამ მიმართულებით სწორი გეზია აღებული იმ თავითვე და ბევრი რამეც არის გაკეთებული. შრომის სკოლის პრინციპები ტარდება ცხოვრებაში; ამ დღეებში გამოქვეყნდა უმაღლეს სკოლის ახალი დებულება, რომელიც ამყარებს საბჭოთა წყობილების შესაფერ ამოცანებს და მართვა-გამგეობას. რაც შეეხება მასწავლებელთა პირად შემადგენლობას, ამ მხრივ საქმე კიდევ არ არის რიგიანად მოწესრიგებული. შესაფერისად მომზადებული პედაგოგიური პერსონალი ნაკლებად გვყავს, ამასთან მისი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ შეგუებია ახალ რეჟიმს; აქა იქ ურევ ან წმინდა კონტრ-რევოლიუციონური ელემენტებიც. ასეთ პირობებში ძნელია სულ პედაგოგიურ იდეების განხორციელება და სოციალისტური თაობის აღზრდა ისე, როგორც ამას მოითხოვს მშრომელ ხალხის იდეალები ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ახალი მასწავლებლების მომზადებას.

მაგრამ განათლების საქმის ცენტრის სიმძიმე დღეს სხვაგან დევს.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს სახალხო განათლების საქმის ნივთიერი მხარე. ამ სფეროში უეჭველად ჯერ კიდევ დიდ კრიზისს განვიცდით. საკითხი ეხება ერთი მხრივ მასწავლებელთა გაჭირვებულ მატერიალურ მდგომარეობას, მეორე მხრივ სკოლისა და სწავლებისათვის საჭირო მოწყობილობას და ნივთების უქონლობას.

ჩვენ უნდა შევქმნათ სახალხო განათლებისათვის საკმაო ნივთიერი ბაზა, გამოვძებნოთ მისთვის საჭირო ფინანსიური საშუალებანი, როგორც საერთო, სახელმწიფოებრივ, ისე ადგილობრივ ბიუჯეტიდან.

მხოლოდ მატერიალურად უზრუნველყოფილი მასწავლებელი და სკოლა შეიძლებენ იმ რთულ, საპასუხისმგებლო ამოცანების შესრულებას, რომელსაც აკისრებს მათ საბჭოთა სახელმწიფო. ხალხის გამოყვანა დღევანდელ სიბნელიდან და მისი კულტურული დონის ამაღლება პირველხარისხოვანი საკითხია, რომლის გადაუჭრელად ამაოა ლაპარაკი მშრომელ მასსის წარმატებაზე და მისი ბატონობის განმტკიცებაზე.

ცაკის საგანგებო სესია მთელი სისრულით გაითვალისწინებს სახალხო განათლების საქმის დღევანდელ მდგომარეობას და გამონახავს გზებს და საშუალებებს მის დასაძრავად გაყინულ წერტილიდან, მის შესაფერ დონეზე დასაყენებლად.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მიწადმოქმედების საკითხს, რომელიც დასმულია სესიის დღის წესრიგში.

აქ საქმე ეხება, ერთი მხრივ აგრარულ რეფორმის დამთავრებას, მეორე მხრივ სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციას. ერთხელ თქმული, რომ სასოფლო მეურნეობა მთავარი ფუძეა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის. მიუხედავად ამისა, ჩვენ აშკარად უნდა ვსთქვათ, რომ მუშაობა ამ სფეროში არ არის დამაკმაყოფილებელი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე წლის მიწურულზე მიწათსარგებლობის ახალი ნორმები და ფორმები ზოგიერთგან არ არის ცხოვრებაში გატარებული. არის ადგილები, სადაც ისევ დარჩენილია ძველი საადგილ-მამულო ურთიერთობანი, ხოლო ზოგან კი, სადაც ამ მიმართულებით მუშაობა ჩატარდა ან მიმდინარეობს, ჰქონდა და აქვს ადგილი ბევრი გადახვევას საბჭოთა აგრარულ კანონმდებლობიდან, ამასთან ბევრი უკანონობას და ბოროტმოქმედებას. ჩვენ არ ვამბობთ, რომ აგრარულ რეფორმის განხორციელება ადვილი საქმე იყოს, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც ფრიად დახლართულია საადგილ-მამულო დამოკიდებულება და ადგილი აქვს ზერელ, წვრილ, ნაკვეთობითი მიწის მფლობელობას. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ამ ობიექტიურ სიძნელით დღევანდელ მდგომარეობის გამართლება. უნდა ვაღიაროთ, რომ საადგილ-მამულო რეფორმის გამტარებელი აპარატები ვერ მუშაობდნენ რიგიანად. ამ აპარატებში ბევრი აღმოჩნდნენ არასაიმედო, ჩინოვნიკური ელემენტები, რომელნიც არ იყვნენ დაინტერესებულნი რეფორმის გატარებით ღარიბ გლეხკაცობის სასარგებლოდ; საადგილ-მამულო კომისიებში ძვრებოდნენ პირები, რომელნიც მოქმედებდნენ პირადი და თავის მახლობელთა ინტერესებისათვის. შედეგად ბევრ ადგილას მივიღეთ ის, რომ კულაკებმა, შეძლებულ ნაწილმა თავი დაიძვრინეს რეფორმის შედეგებისაგან, დაინარჩუნეს ნორმაზე მეტი, ბევრმა თავის კეთილდღეობის წყალობით გამოიყენა მიწის რეფორმა; უმიწაწყლო გლეხკაცობის ნაწილი კი დარჩა აქა იქ ძველებურ პირობებში, არა მარტო იმიტომ, რომ მიწა საერთოდ მცირე იყო, არამედ ზოგიერთი ელემენტების და ნაშაულებრივი მახინაციების წყალობითაც.

ასეთ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო, საბჭოთა აგრარული რეფორმა უნდა დამთავრდეს უახლოეს დროში და ღარიბი გლეხობა იქნეს დაკმაყოფილებული ყველა ობიექტიურ შესაძლებლობის ფარგლებში. ცაკის სესია ამ გარემოებას მიაქცევს ფართე ყურადღებას და მიიღებს საჭირო ზომებს ამ ამოცანის განსახორციელებლად. ადგილობრივი დელეგატები უკეთ არიან გაცნობილი საქმის ვითარებას და მათი დახმარებით შესაძლებელია საკითხის მოგვარება.

საადგილ-მამულო რეფორმასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა კიდევ ყურადღება მივაქციოთ ერთ საკითხს,—ესაა გადასახლების საკითხი. მაზე საკმაო წერილები დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. გლეხობის გადასახლება შევიწროებულ რაიონებიდან თავისუფალ ადგილებში ეს ნაწილია აგრარულ რეფორმის და ის უნდა ჩატარდეს მასთან პარალელურად. სესიამ ისიც უნდა გაიხადოს თავის სჯა-ბაასის საგნად და გადასახლების საქმეს მისცეს გეგმა-შეწონილი ხასიათი.

მიწის რეფორმის გატარება და მისი სამართლიანი განაწილება არ არის საკმარისი სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერების ასაღორძინებლად. საჭიროა სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერების აწევა; აქ ახალი მეთოდების და იარაღების გამოყენება.

საბჭოთა მეათე ყრილობამ ამ გარემოებასაც მიაქცია დიდი ყურადღება და კიდეც გამოიტანა მან შესაფერი გადაწყვეტილებანი. ამ მიმართულებით მუშაობა ჩვენშიც წარმოებს. გვმართებს ამ მხრივ მუშაობის უფრო გაძლიერება. ცაკის სესია მას გვერდს ვერ აუვლის.

ამ გვარად, შინაურ ცხოვრების სფეროში ორი მთავარი საკითხის მოგვარება აქვს დაკისრებული დღევანდელ სესიას: სახალხო განათლების და მიწად-მოქმედების საქმის. სესიის მუშაობა ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ იგი წარმატებით გადაწყვეტს მის წინაშე მდგარ ამოცანებს.

ისევ გადასახლების შესახებ

საკითხს გადასახლების შესახებ შეეხო წერილების სერიაში („კომუნისტი" №№ 293, 295, 296) ამხ. ი. ბ. ის მთლიანად ეთანხმება ჩემ მიერ ნაჩვენებ ზომებს. მხოლოდ მე მინდა მივუთითო ავტორს ერთ ადგილზე მის წერილში. მე ვამბობ შემდეგს: „შესაძლებელია ჩემის აზრით, რომ სიმშილობის შედეგების წინააღმდეგ მებრძოლმა კომიტეტმა, აიღოს გადასახლების მოწყობის ფუნქციები და არ დაგვჭირდეს ახალი კომიტეტების შექმნათო."

ამხ. ი. ბ. ამას უწოდებს კომისარიატის კომისარიატში შექმნას და ამბობს, რომ გადასახლების მოწყობა მოგვარების საქმე ეს განუყრელი უფლებაა სამიწათ-მოქმედო კომისარიატის და არა სხვა რომელიმე ორგანიზაციისო.

მაგრამ მე ხომ ვსწერდი, რომ „იმ გადასახლების ქვე განყოფილებაში, რომელიც არსებობს სამიწადმოქმედო კომისარიატში, უნდა მოხდეს რადიკალური ცვლილება, შესდგეს ახალი გადასახლების კომიტეტი და სხ." ცხადია, აქ არ არის ლაპარაკი იმაზე რომ სამიწათმოქმედო კომისარიატს წაერთვას გადასახლების მოწყობა მოგვარების საქმე, იქ არის ლაპარაკი მხოლოთ იმ აუცილებელ გადასახლებაზე—შემადგენლობის ცვლილებაზე, რაც აუცილებლათ მიმაჩნია გადასახლების ქვე განყოფილებაში, ჩემის აზრით, ეს არ არის, კომისარიატის კომისარიატში შექმნა.

საყურადღებოა აგრეთვე აღვნიშნო ი. ბ—ს წერილში ერთი მოსაზრება. ის სწერს: „გლეხი ფიქრობს, რომ შეიძლება ახალ ადგილზე ვერ მოეწყოს და შიშობს ის უმნიშვნელო მიწის ნაკვეთიც არ დაკარგოს, რომელიც მფლობელობაშია საჭიროა დროებით მისი უფლების აღიარება, შენახვა იმ ადგილებზე, რომელიც დღეს მის მფლობელობაშია" ამიტომ ჩემის აზრითაც საჭიროა გადასასახლებელ გლეხებს შეენახოს ორი წლის განმავლობაში მათ უფლება საცხოვრებელზე; გამოარკვიოს, რომ გადასახლების საკითხი დღეს უკვე მომწიფებულია და ის უკვე სდგას ჩვენი ცენტრალური ხელისუფლების პრაქტიკული მოქმედების დღიურ წესრიგში, ამის ნათლად დასანახავათ საყურადღებოა ზოგიერთი ჩვენი ამხანაგებისათვის მოვიყვანო ერთი გადაწყვეტილება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის მიღებული გასული წლის 21 ნოემბრის სხდომაზე. ამ გადაწყვეტილებას თანახმათ მიწად-მოქმედების კომისარიატს დაევალა სასწრაფო წესით გამოერკვია კერძოთ რაჭის მაზრის ზედმეტ მცხოვრებთა გადასახლების შესაძლებლობა სხვა მაზრებში.

რა უნდა ვიქონიოთ მხედველობაში გლეხების დასახლების დროს ახალ ადგილებზე. ეს კითხვა საყურადღებოა, როგორც პრინციპიალურათ აგრეთვე პრაქტიკულათ.

წინანდელ ჩემ წერილებში შევეხე მხოლოთ გადასახლების კითხვას, ხოლო რა ფორმით უნდა მოხდეს დასახლება, ამაზე არაფერი მითქვამს.

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოფლის მეურნეობის ალორძინებას მის განვითარებას მიექცა უდიდესი ყურადღება. იქ აგრარული რეფორმა მშვენივრათ ტარდება. ოქტომბრის რევოლიუციამ გლეხებს მისცა მიწა, მაგრამ აქ საყურადღებო იყო საკითხი, თუ რუსეთში, მუშურ გლეხურ ხელისუფლებას, სოფლის მეურნეობის, რომელი ფორმისთვის უნდა მიექცია თავის განსაკუთრებული ყურადღება.

ამხ. კოვალენკო თავის, ეხლახან ქართულზეც მშვენივრათ გამოცემულ წიგნაკში „პოლიტიკური ანბანი" განმარტავს ამ კითხვაზე ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ძირითად პრინციპიალურ შეხედულებას და ეხება სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ ფორმებს. ის ამბობს შემდეგს: „წვრილი მესაკუთრეობა სასოფლო მეურნეობაში ისევე, როგორც მრეწველობაში, ძლიერ აფერხებს კომუნიზმის განხორციელების საქმეს. ცალ ცალკე მწარმოებელ გლეხებს შორის არ არსებობს ამისათვის საჭირო ერთობა, თითეული მეურნე დაინტერესებულია მხოლოთ თავისი კერძო მეურნეობით, ხოლო ბაზარზე, სცდილობენ რაც შეიძლება მალე და ძვირათ გაჰყიდონ თავისი მეურნეობის პროდუქტები—გამოდიან როგორც მტრები". ეს არის უეჭველი სიმართლე რაც მრავალნაირათ დამტკიცებულია. დღეს პრაქტიკულათ ამას უპირდაპირდება მეურნეობის ახალი უმაღლესი ფორმები, როგორც არიან სასოფლო-სამეურნეო კომუნები—არტელები და საბჭოთა მეურნეობები, იგივე ავტორი ამის შესახებ ამბობს, რომ მისცეს სოფლის მეურნეობას ინტენსიური ხასიათი, იქნეს გადიდებული შრომის ნაყოფიერება.

როგორც ვხედავთ სოფლის მეურნეობის ახალ ფორმებს აქვს უდიდესი ყურადღება მიქცეული რუსეთში და თავის თავად ცხადია, რომ ჩვენშიაც, ჩემის აზრით, უკვე დროა ამას მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რომ პრაქტიკულათ საფუძველი ჩაეყაროს ამ უდიდეს საქმეს.

ეს უნდა მივიღოთ მხედველობაში ახალშენების მოწყობის დროს. ჩვენ, რასაკვირველია, იძულებით ვერ მოვახვევთ თავზე მიწის მუშებს ამ ფორმებს, მაგრამ საჭიროა ამ მხრივ გაწეულ იქნას შესაფერისი აგიტაცია, როგორც საზოგადოთ, ისე გადასახლებულთა შორის.

დ. ნახარიძე.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრ. კომ. პირველი სესია

სესიის გახსნა.

ამიერ კავკასიის ცაკ-ის სესია გაიხსნა გუშინ, საღამოს 7 საათზე სახალხო თეატრ დარბაზში.

დარბაზი მორთულია წითელ დროშებით და კედლებზე გაკრულია პლაკატები შემდეგი ზედ წარწერით:

„ამიერ კავკასიის ფედერაცია უჩვენებს გზას აღმოსავლეთის და ჩაგრულ ხალხს".

„ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი".

„გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას".

„ამიერ-კავკასიის მშრომელთა ერთიანი ოჯახით ჩვენ მოვდივართ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ" და სხვა.

სხდომას ხსნის ამხ. მიხა ცხაკაია, რომელიც მიმართავს ყრილობას მოკლე მისასალმებელი სიტყვით.

ამხ მიხა ცხაკაიას სიტყვა.

ამხ. მიხა ცხაკაია, ესალმება რა ამიერ კავკასიის ცაკ-ის პირველ სესიას, აღნიშნავს მის მნიშვნელობას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების საქმეში. ეს გაერთიანება არის დიდი ნაბიჯი ყველა იმ საბჭოთა რესპუბლიკების საერთო გაერთიანებისაკენ, რომელნიც შევიდნენ მთლიან ძლიერ-მოსილ კავშირში.

ამხ. მიხა ცხაკაია ეხება იმ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ამოცანებს, რომელიც დასმულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის წინაშე, და რომელიც ამიერ კავკასიის ცაკმა უნდა გადაწყვიტოს. მისი ბრძნულ და მოფიქრებულ გადაწყვეტაზე დამოკიდებული იქნება ამიერ-კავკასიის მშრომელთა მთელი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება. შემდეგ სესია იღებს შემდეგ დღის წესრიგს:

დღის წესრიგი

1. ამიერ კავკასიის ც. ა. კ-ის შედგენა.
2. საბჭოთა რესპუბლიკების ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერაციის კონსტიტუცია.
3. ამიერ კავკ. საბჭ. ფედერაც. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს არჩევნები.
4. მიმდინარე საქმეები.

ყრილობა იღებს რა სხდომების წარმოების რეგლამენტს და აწესებს რა სესიის მუშაობის დროს დილის 11—3 საათ. და საღამოს 7—10 საათამდე, გადადის ამიერ-კავკასიის ცაკის შედგენის საკითხზე.

სიტყვა ეძლევა ამხ. კახიანს. ამხ. კახიანი წინადადებას იძლევა არჩეულ იქნას ცაკ-ის პრეზიდიუმი 19 წევრის და 6 კანდიდატის შემადგენლობით.

ყრილობის პრეზიდიუმის არჩევა.

ამხ. კახიანი აქვეყნებს კანდიდატთა სიას.

თავმჯდომარე კენჭს უყრის სიას.

სიას ყრილობა ერთხმად იღებს:

ცაკ-ის პრეზიდიუმში არჩეულნი არიან:

თავმჯდომარეებათ:

აგამალი-ოღლი, მიხა ცხაკაია, [illegible].

მდივნათ:

ტალიბლი.

წევრებათ:

მიასნიკოვი, ელიავა, ვ. სტურუა, კაროვი, [illegible], კრილოვი, მუსეინოვი მ.—დ. [illegible], [illegible].

პრეზიდიუმის წევრთა კანდიდატებათ არჩეულნი არიან.

მ. კახიანი, კარიანი, [illegible], კარაევი, მუფიატ-ზადე, ბადალბეილი.

ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედერატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია.

მომხსენებელია ამხ. შ. ელიავა.

მომხსენებელი მოახსენებს სხდომას, რომ ამიერ-კავკასიის სოციალ ფედ. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუცია განხილული იყო ამიერ-კავკასიის საბჭოთა პირველი ყრილობის მიერ და მიღებულ იქნა ამ კონსტიტუციის მთავარი დებულებები.

კონსტიტუციის რედაქცია და გამოკვეთა ყრილობამ მიანდო ამიერ-კავკასიის ც. ა. კ-ს.

ამხ. ელიავა აქვეყნებს კონსტიტუციის ტექსტს.

მცირე კამათის შემდეგ კონსტიტუციის განხილვის წესრიგის შესახებ, ყრილობა გადადის წარმოდგენილ ტექსტის მუხლობრივ განხილვაზე.

მუხლობრივი განხილვა სწარმოებს მთელი სხდომის განმავლობაში შეტანილ იქნა მთელი რიგი შესწორებებისა, რომელსაც ყრილობა ნაწილობრივ იღებს და ანდობს კომისიას შესათანხმებლად.

სხდომა იხურება საღამოს 10 ნახ. საათზე.

გუშინდელი სხდომა.

მიღებულ რეგლამენტის თანახმად სესიის შემდეგი სხდომა უნდა გამართულიყო გუშინ დილით, მაგრამ დილის სხდომა გადატანილ იქნა საღამოს 7 საათისათვის.

ბოლო დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

ქვა-ნახშირის მაღაროები.

მოსკოვი. 16 იანვ. საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს რეინ ვესტფალიის ოლქის ყველა ქვა-ნახშირის მაღაროები

„იუმანიტე"-ს რედაქტორის დაპატიმრება.

მოსკოვი. 16 იანვ. საფრანგეთის პოლიციამ დაპატიმრა გაზეთ „იუმანიტე"-ს რედაქტორი.

გაფიცვა ესსენში.

ბორდო. 16 იანვ. ესსენში გაიმართა ნახევარი საათის საპროტესტო გაფიცვა.

მიმართავენ პოლიციურ ზომებს.

ნაუენი. 16 იანვარი. ბელგიის მისია უკიდურეს ნაციონალისტების მუქარის გამო მოითხოვს მათ გადასახლებას.

იარაღის შიშის ქვეშ.

ნაუენი. 16 იანვარი. ესსენში მემაღაროეთა ყველა კავშირებმა გამართეს დემონსტრაცია და განაცხადეს, რომ რურის მცხოვრებთ არ შეუძლიათ იმუშაონ იარაღის შიშის ქვეშ.

ახალი დაბეგვრა.

ნაუენი. 16 იანვარი. საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს დააწესოს ნახშირის ახალი გადასახადი.

ინგლისის მუშების ხმა.

ნაუენი. 16 იანვ. სტრატფორდში ბრიტანეთის ტრედიუნიონებმა გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „ის დრო, როდესაც ყველა ინგლისელ მუშებს ექნებათ სამუშაო, ძალიან შორს არის საფრანგეთის პოლიტიკის წყალობით, რომელსაც მთელი მსოფლიო დაღუპვისაკენ მიჰყავს". ბრიტანეთის მემაღაროეებმა გამოსთქვეს აგრეთვე პროტესტი საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვეს, რათა საკონტრიბუციო საკითხი განხილულ იქნეს შერეულ ტრიბუნალის მიერ.

ფრანგები იმუქრებიან.

ბორდო. 16 იანვარი, საფრანგეთის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ ურჩობას და მუშაობის შეწყვეტას ისინი ვერ მოითმენენ. მიღებულ იქნა ზომები რურში რკინის გზის მოძრავ შემადგენლობის მოსპობის თავიდან ასაცილებლად.

სამხედრო მატარებლის დამსხვრევა.

პარიზი. 16 იანვარი. გუშინ, საღამოს 8 საათზე დაამსხვრია სამხედრო მატარებელი საფრანგეთის რაზმით. ერთი მოკლულია, რამდენიმე დაჭრილი.

ნამდვილი მტერი.

ნაუენი. 16 იანვ. ბერლინში სოციალისტებმა გამართეს განსაკუთრებული კრება და გამოიტანეს პროტესტი ოკუპაციის წინააღმდეგ. კომუნისტების კრებაზე განაცხადეს, რომ მტერი იმყოფება არა რურის ოლქში. ის მტერია—საერთაშორისო კაპიტალიზმი.

ოკუპაცია გრძელდება.

პარიზი 16 იანვარი. დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ უკანასკნელ დღეებში რამდენიმე ცხენოსანმა რაზმმა დაიკავა რეკლინგჰაუზენი და ბუერი.

საფრანგეთ ბელგიის ჯარები განაგრძობდნენ დღეს დორტმუნდისაკენ წინსვლას.

დაკავებულ ადგილებში.

პარიზი. 16 იანვ გაზ. „ფორვერტსის" ცნობით ესსენში მემაღაროებმა გადასწყვიტეს საოკუპაციო მუშაობის დროს არ გამოიყენონ დადგენილება დამატებით სამუშაო საათების შესახებ დუისბურგიდან მიღებულ ცნობების თანახმად გაიმართა მანიფესტაციები ყველა დაკავებულ ადგილებში.

ინგლისის სამთომადნო მუშების პროტესტი.

მოსკოვი. 16 იანვ. ინგლისის სამთომადნო მუშების პროფკავშირის პრეზიდიუმმა მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ფრანგების მიერ რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ.

ამერიკა და გერმანია.

მოსკოვი. 16 იანვ. ვაშინგტონის მთავრობამ პასუხი არ გასცა გერმანიის პროტესტზე რურის ოკუპაციის წინააღმდეგ.

ფრანგების მოქმედება.

მოსკოვი. 16 იანვ. ბოხუმში შევიდნენ საფრანგეთის ჯარის მოწინავე ნაწილები.

საფრანგეთ ბელგიის კომისია.

მოსკოვი. 16 იანვ. საფრანგეთ-ბელგიის საინჟინრო კომისიამ მიიღო ბრძანება ამოღებული ნახშირი პირველ რიგში გამოიყენოს ანტანტის საჭიროებისათვის.

ნახევარი საათის გაფიცვა.

მოსკოვი. 16 იანვ. გერმანიის თავისუფალმა პროფკავშირებმა უარი განაცხადეს ნახევარი საათის გაფიცვის ორგანიზაციაზე. ასეთი გაფიცვა უნდა მოხდეს 15 იანვარს მხოლოდ რეინ-ვესტფალის ოლქში.

რურის ნახშირი.

მოსკოვი. 16 იანვ. საფრანგეთის მდგომარეობა რურის ოლქში შეიძლება გართულდეს, რადგან გერმანიის ნახშირის ფასი თითქმის გაუთანასწორდა ნახშირის ფასს მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ გერმანიის ნახშირის სინდიკატს ინგლისის და ამერიკის ნახშირის დახმარებით შეუძლია განდევნოს რურის ნახშირი გერმანიის ბაზრიდან.

ამგვარად, საფრანგეთს, ბელგიას და იტალიის მოუხდებათ ბრძოლა არა მარტო გერმანიასთან, არამედ ინგლისთან და სხვა სახელმწიფოებთანაც, რომელთაც გამოაქვთ ნახშირი.

გერმანიის ამბები

რეიხსტაგში.

მოსკოვი 16 იანვ **კუნოს თავის სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა რეიხსტაგში, ხშირად აწყვეტინებდენ კომუნისტები.**

რეიხსტაგის სხდომა უნდა გამხდარიყო მთლიანი ეროვნული ფრონტის დემონსტრაციათ, მაგრამ ეს ცდა დამარცხდა, რეიხსტაგის მემარცხენე ფრთის და ბურჟუაზიულ პარტიების შორის ატყდა კამათის გამო.

კომუნისტმა ფრელიხმა განაცხადა, რომ პროლეტარიატმა ბოლო უნდა მოუღოს მთლიანი ეროვნული ფრონტის პროპაგანდას და აღნიშნა, რომ ბურჟუაზიას, რომელიც ყოველთვის იღებდა მონაწილეობას რეპარაციებში, უფლება არა აქვს მოითხოვოს მუშებისაგან საპროტესტო გაფიცვა რურის ოკუპაციის წინააღმდეგ.

ფრელიხმა თავისი სიტყვა დაამთავრა პროლეტარულ რუსეთზე მითითებით და აღნიშნა, რომ აუცილებელია კუნოს მთავრობა შეცვლილ იქნეს მუშათა მთავრობით.

რეიხსტაგმა კუნოს მთავრობას ნდობა გამოუცხადა.

გერმანიის კომუნისტები.

მოსკოვი. 16 იანვ. გერმანიის კომუნისტებმა საფრანგეთის კომპარტიას გაუგზავნეს წერილი, რომელშიაც გამოსთქვამენ სიმპატიას და აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის კომუნისტები არიან პროლეტარულ სოლიდარობის მედროშენი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატების მიერ ერთიანი პროლეტარული ფრონტის უარყოფის გამო, გერმანიის კომპარტიის ცენტრ. კომიტეტმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ კომუნისტების სათავეში უნდა ჩაუდგენ გერმანიის მშრომელთ და რომ ფაბრიკა ქარხნების კომიტეტებმა უნდა შექმნან მებრძოლი ორგანოები რეალურ ღირებულებათა ხელში ჩაგდების მიზნით და მუშათა მთავრობის დასაარსებლად.

მოწოდება გაფიცვისაკენ.

მოსკოვი. 16 იანვ რურის ოლქის კომპარტია მოუწოდებს მუშებს მოაწყონ ნახევარი საათის საპროტესტო გაფიცვა რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ.

ბურჟუაზიული დემონსტრაცია.

მოსკოვი. 16 იანვარი. ბერლინში რეიხსტაგის შენობასთან გაიმართა დიდი ბურჟუაზიული დემონსტრაცია რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ. დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდენ ნაციონალისტები და წვრილი ბურჟუაზია.

მუშები სრულებით არ ღებულობდენ მონაწილეობას. დემონსტრანტები მღეროდენ პატრიოტულ სიმღერებს და ემუქრებოდენ კომუნისტებს.

ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში კომუნისტებმა კონტრ-დემონსტრაციით უპასუხეს.

ნაციონალისტების ჯგუფი თავს დაესხა კომუნისტურ ახალგაზრდობის რაზმს, დასწვა წითელი დროშა და სცემა დემონსტრანტებს.

პოლიციამ უარი განაცხადა დამნაშავეთა აღმოჩენაზე.

დემონსტრაცია ბერლინში.

ჰანოვერი, 14 იანვ. 14 იანვარს ბერლინში გაიმართა დემონსტრაცია რურის ოკუპაციის წინააღმდეგ. განწყობილება ძალიან ნერვიულია. ანტანტის მისიების ბინებს იცავდენ პოლიციის შეიარაღებული ძალები, რომელნიც თავგანწირულად იცავდენ უცხოეთის წარმომადგენლებს გამძვინვარებულ ბრბოსაგან, რომელიც გატაცებული იყო ორატორების მიერ და პროტესტს გამოსთქვამდა საფრანგეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ.

დემონსტრაციები გერმანიაში.

ბორდო, 16 იანვ. ჰავასის სააგენტო ადასტურებს, რომ დემონსტრაცია, რომელიც გაიმართა ბერლინში მოკავშირეთაშორისო სამხედრო კომისიის წინ ძალიან სერიოზული იყო.

პარიზი, 16 იანვ. საფრანგეთის საწინააღმდეგო მანიფესტაციები გაიმართა ბრესლავლში, დანციგში, ფრანკფურტში და კარლსრუეში.

გარდატეხა საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრში

მოსკოვი. 16 იანვ. უკანასკნელ დღეებში საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრში შესამჩნევი გარდატეხაა, რაც მოწმობს იმას, რომ ფართო წრეებში იმედი დაჰკარგეს, რადგან რურის ოკუპაციამ უშუალო შედეგები არ გამოიღო.

„ტანი" მოუწოდებს მოთმინებისაკენ, აღნიშნავს რა, რომ შედეგების მიღწევა შეიძლება მხოლოდ 2—3 თვის შემდეგ. გაზეთი აღიარებს, რომ საერთო განწყობილება თანდათან არა ხელსაყრელი ხდება მთავრობისათვის. გაზეთი აღნიშნავს, რომ ფართო წრეებს სურთ გერმანიასთან მოლაპარაკების განახლება, რაც მათი აზრით საფრანგეთის სასარგებლოდ დამთავრდება.

საფრანგეთის მთავრობის განზრახვას, დეფიციტის დასაფარავად ყველა პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადების შესახებ, მსხვილი მრეწველობის ორგანოები სასტიკად აკრიტიკებენ. ამ კანონ-პროექტს სთვლიან საფრანგეთის მთავრობის უძლურებათ.

ლოზანის კონფერენცია

სახელმწიფო ვალი.

ბორდო. 16 იანვ. საფინანსო ქვეკომისია ორშაბათს იხილავდა ოსმალეთის სახელმწიფო ვალის საერთო ჯამის განაწილებას. ოსმალეთის დელეგატმა გამოსთქვა ოსმალეთის სურვილი, რათა მას აეშორებინათ პასუხისმგებლობა ოტომანის ვალისათვის, რომელიც უნდა დაეკისროს ყოფილ ოტომანის იმპერიის სახელმწიფო მემკვიდრეებს. რკინის გზის სესხის შესახებ ოსმალეთის დელეგაციამ მიიღო პრინციპი, რათა მიმართონ საერთაშორისო სასამართლოს ჰააგაში.

კერზონი მიემგზავრება.

ბორდო. 16 იანვ. კონფერენციაზე გავრცელდა ხმები, რომ ახლო მომავალში კერზონი გაემგზავრება ლონდონში.

ახლო აღმოსავლეთში

აჯანყება მოსულში.

ჰანოვერი. 16 იანვარი. მოსულის რაიონში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაარბიეს ინგლისის ახალშენები. ამის გამო, სოფელი ერბილი ბომბებით ააოხრა ინგლისის საჰაერო პლანებმა. აჯანყებულებს ხელში ჩაუვარდათ ორი აეროპლანი, რომლებიც განადგურებულ იქნენ.

მუსტაფა ქემალ ფაშის გამგზავრება.

ბორდო. 16 იანვარი. მუსტაფა ქემალ-ფაშა გენერალ კიაზიმის, კარაბექირის და რამოდენიმე დეპუტატების თანხლებით მიემგზავრება ანატოლიის განთავისუფლებულ ოლქებში, სხვათაშორის ბრუსაში.

საკითხი მემელის შესახებ

მემელი დაიკავეს ლიტველებმა

ბორდო. 16 იანვ. ლიტვის სამხედრო რაზმებმა დაიკავეს მემელი.

ჰანოვერი 16 იანვ. მემელის ოლქში გაიგზავნა ორი ნაღმოსანი

ამას გარდა, პარიზიდან იტყობინებიან, განზრახულია გაიგზავნოს იქ კრეისერი ვოლტერი. გზაშია ინგლისის კრეისერი.

მოკავშირეებმა გაიმეორეს პროტესტი მემელში ლიტველების შესვლის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ოლქში შესულ ლიტველების შორის იყვნენ ლიტვის რეგულიარული ჯარები.

მემელის მთავრობა

ჰანოვერი. 16 იანვ მემელ-კრატინგიდან იტყობინებიან, რომ იქ გამოაცხადეს ახალი მთავრობა მემელის ტერიტორიაზე. პრეზიდენტად არჩეულია სიმონაიტისი.

არჩევნები თბილისის საბჭოში
არჩეულნი არიან:

1 რაიონში

რკინისგზის მეექვსე უბანი:

იზმაილოვი ვ., კვინტრაძე—(კომუნისტი), თუშურაშვილი შაქრო—(უპარტიო), კარიაშვილი—(ახ. კომ. კ. წევრი).

11-12 უბნის მილიცია. 6 უბნის და კომუნისტური პარტიის პირველი რაიონი:

გასვიანი ვლადიმირი—(კომ).

3 რაიონში

საალმშენებლო დარგის მუშები.

პირალოვი გლადსტონ, ბაბაზოვი ოგანეს, მაილოვ რუბენ—(კომუნისტები).

კანდიდატებათ:

ავაქოვი ასატურ, გრიგორიანი არშაკ—(კომუნისტები) ბადირ აბასკული—(უპარტიო), ოგანეზოვი კარაპეტ—(უპარტიო).

მეხუთე რაიონის თეატრების და კლუბების მოსამსახურეები, პარტიის სამხარეო ბიურო და ახ. კომ. თანამშრომლები;

ტალიბლი—(კომუნისტი).

კანდიდატები:

ალეკპერ მამედ ალი ზადე—(კომუნისტი).

4 რაიონში

სახელმწიფო მოსამსახურეების 1-ლი ჯგუფი.

ქავთარაძე ს., ჟორჟაშვილი, ატოევი, გეგეჭკორი ს., სტურუა ვანო, სტეპანოვი, ნერსესოვი ნ., ტატულოვი ლ., აშუკინი (კომუნისტები), ამალობელი ს. (მემარცხ. სოც. ფ.)

საპატიო დეპუტატებათ არჩეულნი არიან ამხ: მისრიკოვი და ამხ. ბუდი მდივანი.

სახელმწიფო მოსამსახურეების 2 ჯგუფი.

ოკუჯავა მიხეილ, ტოროშელიძე მ., ვერია მელიკოვი მ. ნაი., არეშიძე ვ., ბახუტოვი, აივაზოვი ნ., ცინცაძე არუსაკა, კვარაცხელია მ., კვანტალიანი ეპ. (კომუნისტები), ხოშტარია (მემარც. სოც. ფ.)

კანდიდატებათ

ერისპუხოვა, მაშკევიჩი, გოლუბიევი, ხოხლოვი, ზარანდუროვი (კომუნისტები).

საბჭოს საპატიო წევრათ არჩეული იქნა ამხ. სტალინი.

წითელ-არმიაში

ზურგის ნაწილების და დაწესებულებების თანამშრომლების, ქართული მსროლელთა დივიზიისა და საქ. სამხედრო კომისარიატის თანამშრომლების კრებაზე სადაც დაესწრო 800 ამომრჩეველი, თბილისის საბჭოში ერთხმად არჩეული იქნენ შემდეგი ამხ. 1) ვ. სიკ[illegible]ლაშვილი, 2) ნ. ენუქიძე, 3) ბერიძე, 4) დ. ხიხაძე, 5) ცინცაძე, 6) ოლქინ (კომუნისტები) 7) მურადოვი (უპარტიო).

კანდიდატებათ

1) ჯაფარიძე, 2) მგებრიშვილი, [illegible] (კომუნ)

მდგომარეობა იტალიაში

იტალიის რეფორმისტებისაგან ჩამოშორება.

მოსკოვი, 15 იანვ. ახალგაზრდობის კავშირთა მილანის კონგრესზე ხმის უმრავლესობით დაადგინეს ჩამოშორდენ რეფორმისტებს და მიიღონ კომინტერნის მე 21 მუხლი.

პოლონეთის ამბები

გაფიცვა პოლონეთში.

მოსკოვი. 16 იანვ. პოლონეთში ფეიქართა გაფიცვა თანდათან ედება მთელ სახელმწიფოს. უკვე გაფიცულია 200 ფაბრიკის მუშები

კობიანიცაში შეტაკება მოხდა პოლიციასა და გაფიცულებს შორის.

სხვადასხვა ამბები

უნგრეთში.

მოსკოვი. 15 იანვ. ბუდაპეშტის მთავრობის წრეები უარყოფენ ხმებს უნგრეთის სამხედრო მზადების შესახებ.

მიუხედავად ამისა პრაგის გაზეთები იტყობინებიან, რომ უნგრეთში ნამდვილად სწარმოებს სერიოზული სამხედრო მზადება.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სკოლები.

მოსკოვი. 16 იანვ. ხლებნიკოვის ოლქის გლეხებმა თავის ხარჯზე გახსნეს 10 ახალი სკოლა

იგუმენის მაზრის გლეხებმა თავს იდვეს 90 სკოლის შენახვა.

კრედიტი მუშებს.

მოსკოვი 16 იანვ როსტოვში დამთავრდა მუშებისათვის ტანსაცმელის და ფეხსაცმელის პირველი პარტიის დარიგება კრედიტის სახით. დაკმაყოფილებულია 5.000-მდე მუშა.

ბრძოლა მექრთამეობასთან

მოსკოვი 16 იანვ მექრთამეობასთან მებრძოლმა სამეულმა ცარიცინში სამსახურიდან გადააყენა და სამართალში მისცა 5 რკინის გზელი, რომელთაც ბრალდებათ მექრთამეობა.

მინსკში დაიწყო ენერგიული ბრძოლა მილიციაში მექრთამეობის წინააღმდეგ. მილიციის მრავალი მოსამსახურე მაზრაში გადაყენებულია თანამდებობიდან

ძეგლი ყირიმის დაღუპულ მუშებს

მოსკოვი. 16 იანვ ყირიმის პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა შექმნას ფულის ფონდი ძეგლის ასაგებათ ყირიმის იმ მუშებისათვის, რომელნიც დაიხოცენ თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში.

საზამთრო ნათესები.

მოსკოვი. 16 იანვარი იმის გამო, რომ დეკემბრის ბოლოს თბილი დარები იყო და შემდეგ კი ერთბაშათ ყინვები დაიწყო საზამთრო ნათესებს კალუგის გუბერნიაში საფრთხე მოელის. საგუბერნიო მიწის განყოფილება, მდგომარეობას სერიოზულად სთვლის. ცენტრიდან გაგზავნილია აგრონომები.

ს. ს. რ. უმაღლესი სასამართლო

მოსკოვი. 16 იანვ. იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა და ს. ს. რ. ც. ა. კ წარუდგინა დასამტკიცებლად დებულების პროექტი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოს შესახებ.

საბირჟო ყრილობა

მოსკოვი 15 იანვ. საბირჟო ყრილობის 13 იანვრის სხდომაზე გომბარგმა გააკეთა მოხსენება ბირჟაზე ვაჭრობის შესახებ. მომხსენებლის აზრით, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ვაჭრობის განვითარებას სოფლად, რაც ერთნაირ წონასწორობას შექმნის სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა და მრეწველობის ფაბრიკატების ფასებს შორის. სანამ ასეთი წონასწორობა არ იქნება, სთქვა გომბარგმა, ჩვენ იძულებული ვიქნებით მივმართოთ ხელოვნურ ზომებს ფასების მოსაწესრიგებლად

ჩვენი ვაჭრობის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ბირჟები. რომელთა მოქმედება შეუწყვეტლივ ვითარდება. საშუალოდ ყველა ბირჟების ოპერაციები გადიდდა 100 პროც.; აქედან 60—65 პროც ეკუთვნის სახელმწიფო ორგანოების მიერ წარმოებულ ოპერაციებს,—20 პროც. 25 პროც. კერძო ვაჭრების ოპერაციებს და 10 პროც კოოპერაციის ოპერაციებს. ბირჟის წინაშე სდგას დიდი ამოცანები ქვეყნის საწარმოო ძალთა აღდგენის საქმეში. საჭიროა დიდი ძალღონის დახარჯვა საბირჟო ვაჭრობის მოწესრიგებისათვის და განვითარებისათვის.

მოხალისეთა ფლოტი.

მოსკოვი. მოხალისეთა ფლოტმა, რომელმაც თვისი მოქმედება განაახლა 1922 წ. ივლისში, გააფართოვა მუშაობა. მარტო პეტროგრადიდან მოხალისეთა ფლოტი ყოველდღიურად გზავნის საზღვარ გარედ 300 ვაგონამდე სხვა და სხვა ტვირთებს.

ახლო მომავალში მოხალისეთა ფლოტი განაახლებს რეისებს—ოდესსა ვლადივოსტოკს შორის.

მოსკოვის საბჭოში

მოსკოვი. 16 იანვ. მოსკოვის საბჭოს პლენუმის სასწრაფო სხდომაზე ბუხარინმა თავის მოხსენებაში რურის ოლქის ოკუპაციის შესახებ წინადადება მისცა მოსკოვის საბჭოს სასტიკი პროტესტი განაცხადოს საფრანგეთის ცდის წინააღმდეგ. რომელიც მიმართულია გერმანიის ხალხის დამონებისაკენ.

ესსენიდან ჩამოსულმა გერმანელ კომუნისტმა გეხლემ განაცხადა, რომ მოსკოვში მომხდარი დემონსტრაციები იმის მაჩვენებელია, რომ მსოფლიოს მუშათა მოძრაობის სათავეში სდგას რუსეთის პროლეტარიატი. გერმანის მუშამ ეხლა გაიგო, რომ დროა გავრეკოთ ბურჟუაზია და შევქმნათ მუშათა მთავრობა.

მოსკოვის საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც პროტესტს აცხადებს ბურჟუაზიის ცდის წინააღმდეგ, რათა ჩაითრიოს ხალხები ახალ იმპერიალისტურ ომში.

ამიერ კავკასიის პროვინციებში

სომხეთი

ერევანი, 16 იანვარი,

ბრძოლა შავ ჭირთან. ახალ ბაიაზეთის მაზრაში სწარმოებს ენერგიული ბრძოლა შავი ჭირის ეპიზოტიის წინააღმდეგ.

წყალსადენი. ერევნის ქალაქის აღმასკომის დადგენილების თანახმად, კანაკირში ეწყობა წყალსადენი.

შირაქის არხი. მუშაობა შირაქის არხის გაყვანისათვის წარმატებით მიმდინარეობს. გვირაბი გათხრილია ჯერჯერობით 190 საჟენის მანძილზე.

გამასწორებელ სახლში.

ერევანი. 15 იანვ მიღებულ ზომების წყალობით, ამ ჟამად ერევნის გამასწორებელ სახლში მოწყობილია საწოლები ყველა პატიმრებისათვის, მინები ჩასმულია, ყველგან სისუფთავეა დაცული. პატიმართა შორის დაიწყო კულტურულ განმანათლებელი მუშაობა, გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კურსები. კვირაში ერთხელ პატიმრები მართავენ წარმოდგენებს

საავადმყოფო შეკეთებულია.

მუსლიმან პატიმრებისათვის გახსნილია წერა-კითხვის კურსები.

გადასახადები ბაღებზე.

უკანასკნელ სხდომაზე სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა განთავისუფლოს გადასახადებისაგან ბაღები სოფ. კიზილში, ტაბუში, ოშაკანში და პარბში

არქეოლოგიური გამოკვლევა.

12 იანვარს ტერ-აკოპიანი სახელმწიფო მუზეუმში წაიკითხავს სამეცნიერო ლექციას ამბერტისა და კეკიშახვეტის ველზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნაშთების შესახებ.

საქართველო

აფხაზეთი

სასურსათო გადასახადის კამპანია.

წარსულ წელს აფხაზეთის სასურსათო სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა გუმისტინის სასურსათო გადასახადის ამკრეფ სამეულს, დაუყოვნებლივ შეიკრიბოს ახლო მდებარე სოფლებში სასურსათო გადასახადი, 400 ფუთი სიმინდი სახელმწიფო მომარაგების პურის მარაგის შესავსებათ. აღნიშნულ განკარგულების სისრულეში მოსაყვანად, გუმისტინის სამეულმა დაუგზავნა გადასახადის გადამხდელებს 1.005 საგადასახადო ფურცელი, ფურცლების დაგზავნის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში სოხუმის შესაგროვებელ პუნქტში შემოვიდა 432 ფ. 8 გ. სიმინდი და ფულათ ფინანსთა სახ კომისარიატში 32.650.000 მანეთი.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში. გაგრის, კოდორის და გუდაუთის მაზრებიდან დაბრუნებულმა აფხაზეთის მიწადმოქმედების სახ. კომისარმა ამხ ზ. ბენიამ მაზ. „გოლოს ტრუდოვოი აფხაზიის" თანამშრომლებთან საუბარში განაცხადა, რომ კოდორის მიწადმოქმედების განყოფილებაში მუშაობა დამაკმაყოფილებლად სწარმოებს თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცენტრთან კავშირის არარსებობას და გარკვეული სამოქმედო ინსტრუქციების უქონლობას. გაგრის მაზრის საბჭოთა მეურნეობა „კოლხიდა" და „ოტრადნოე" წარმოადგენს კოლოსალური ღირებულების, მაგრამ სრულიად მოუვლელ მეურნეობას. მიმდინარე წლის ზაფხულში ის იჯარით გადაეცა გაგრის მთლიან მომხმარებელ საზოგადოებას. თუმცა უკანასკნელმა მიიღო ზომები სამეურნეობის აღსადგენად, მაგრამ საკმაო ენერგიით ვერ მიჰყვა და საქმეს და ამიტომ ეს ხელშეკრულება, რომელიც არ აძლევს მოგებას მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს, ახლო მომავალში გადასინჯული იქნება რაც შეეხება სახ მეურნეობას „მე-3 ინტერნაციონალი" ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში, როდესაც ის დაავალეს მიწად მოქმედების სახ. კომისარიატის რწმუნებულმა, მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა მაშინვე გამოაცხადა სასწრაფოდ და გადაუდებლად მუშაობა საბჭ. მეურნეობის აღდგენისათვის. მუშაობაში მონაწილეობა მიიღო კომპარტიამ, გამოჰყო რა თავისი რიგებიდან ამისთვის ძალები; დაინიშნა საბჭ. მეურნეობის ახალი გამგე—კომუნისტი, გამოსული მუშათა წრეებიდან და მასთან დანიშნული სპეციალისტის აგრონომის საშუალებით ენერგიულად შეუდგა მუშაობას. ამ 1 ნახ. თვის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობა სრულიად გამოიცვალა. თითქმის აღარ არსებობს ის დამპალი კოლებები, რომელიც აღნიშნული იყო კომისარიატის რწმუნებულის ოქმში. ყველგან სწარმოებს მუშაობა, ეწყობა და ელექტრონის გზაზე დიდი რთული მეურნეობა, ცენტრის დაუხმარებლად, ყოველიგე მარტო ერთი შრომით. გაწმენდილია განაპირა ადგილები, მოეწყო ანტი სანიტარია, წესრიგში მოყვანილია პარკი, გზები, და სხვ. შეკეთებულია და მოქმედებს წისქვილი, საბჭ. მეურნეობის შემოსავლის ერთი უმთავრესი წყარო, რომელიც დიდი ხანია აღარ მოქმედებდა. მუშაობა დაიწყო ელექტრონის სადგურმა, რომელიც სინათლეს აძლევს მთელს საბჭ. მეურნეობას. მუშაობს აგრეთვე ხის სახერხი ქარხანა, რომელიც 4 წელიწადია უმოქმედოთ იყო. სასოფლო მეურნეობის მანქანები, რომლებიც, თითქმის, ჟანგებში მდგომარეობაში იყვნენ, შეკეთებულია და უკვე სწარმოებს მიწის დამუშავება ხსენებულ მანქანებით. მოწესრიგებული და გაფართოვებულია სარძეო მეურნეობა. ეწყობა აგრეთვე საქონლის მოშენების საქმე. საბჭ. მეურნეობა გადავიდა სამეურნეო ანგარიშზე და მის განკარგულებაშია დიდი მარაგი მიმდინარე წლის მოსავლის პროდუქტებისა: თივა 1400 ფუთზე მეტი), სიმინდი, ხორბალი, გამხმარი ხილეული და სხვ. წისქვილი და ელექტრონის სადგური მუშაობს თეთრი ნახშირით—მდინარე ბზიბის ენერგიით და შეიძლება აქ ჩაეყაროს საფუძველი ამ მდინარის ძალის სრულ უტილიზაციას, რაც საკმაო თითქმის მთელი აფხაზეთის ელექტროფიკაციისათვის.

პარტიული ცხოვრება

პარასკევს 19 იანვარს

ერთიან პარტიულ დღეს

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა დღის წესრიგში დასვათ საკითხი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. თეზისები გამოქვეყნებული იქნება გაზეთებში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი მიხ. კახიანი.

ცირკულიარულად № 21.

ყველა ოლკომებს, მაზკომებს და რაიკომებს, რომელნიც ეკვრიან რკინის გზის ლიანდაგს და ზღვის ნაპირებს.

დამატებით თავის ცირკულიარისა № 14 საქ. კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი გაცნობებთ, რომ რკინის გზის, საზღვაო და ადგილობრივი ტრანსპორტის კომუჯრედების მდივანთა თათბირი დანიშნულია ა. წ. 25 იანვრისათვის.

თათბირის დღის წესრიგი:

1. ცენტრალური კომიტეტის სატრანსპორტო ქვე განყოფილების ანგარიში.
2. მოხსენება ადგილებიდან.
3. მოხსენება პარტ-ორგანიზაციული მუშაობის შესახებ ტრანსპორტზე.
4. მოხსენება პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ ტრანსპორტზე.
5. მიმდინარე საკითხები.

თათბირზე რომ ნათლად იქნეს გაშუქებული ადგილობრივათ წარმოებული პარტიული მუშაობა, აგრეთვე დარაჯების შემცირებისათვის აც, საქ. კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტმა, ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით, დაადგინა, რომ ამავე რიცხვს დაუკავშიროს ახალგაზრდათა კომკავშირის ტრანსპორტის კომუჯრედების მდივანთა თათბირი.

ამასთან ერთად ცენტრალური კომიტეტი საჭიროდ სთვლის, რომ თათბირზე დაესწრონ თბილისის, ხაშურის, სამტრედიის და ბათუმის რკინის გზის საგზაო პროფკავშირების კომფრაქციის მდივნები.

წინადადება ეძლევა ადგილობრივ პარტორგანიზაციებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ იმ ამხანაგებს, რომელთაც დავალებული ექნებათ ხსენებულ თათბირზე დასწრება.

საქ. კ. პ ც. კ. მდივანი: ხახაშვილი.
სატრანსპორტო—ქვე განყ. გამგე პ. შუშანია.

კ ვ ი რ ი უ ლ ი.

1923 წლის 14 იანვარს 7 საათ. თბილისის დეპოს ადგილკომმა მოაწყო კვირიული, ვაგონების პარკის გასაფართოებლად.

ვაგონები აქნობამდე იდგენ და მათი შეკეთება ხდებოდა ცის ქვეშ რის გამო მუშები ცუდ პირობებში იყვნენ. რა თქმა უნდა ზამთრის დროს სველი ხელები ყინავდა და სხეულის ტკივილების გამო შრომის ნაყოფიერებაც ნაკლები იყო; რამდენი ამხანაგი გაცივებით დაავადმყოფებულა. ზემოხსენებული პარკის მოწყობა [illegible]; ჩვენ მუშებმა მრავალჯერ ვთხოვეთ ბატონ მენშევიკებს, მაგრამ ისინი თავის მოკავშირე სამღვდელოებას როგორ აწყენინებდნენ ეკლესიებს თავის დანიშნულებას როგორ დააკარგვინებდნენ ნაჩლოთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ ის უზარმაზარი ეკლესიის კარები გააღო ვაგონებს შიგ მოსათავსებლათ. აქ იყო დიდი შეგნებული მუშაობა. შეჯიბრებით 13 საათამდის, აღსანიშნავია რომ მოუკლებლად ჩვენთან იყვნენ ადმინისტრაციული პირები: ა) უშვერიძე, ელენიკოვი, პ. ებანოიძე. 13 საათზე აგრეთვე მოვიდა ამხ ცინცაძე, რომელიც სასიამოვნო სურათის ნახვით თითქმის უსიტყვოდ დარჩა, რადგანაც სხვა საქმეების გამო პირადი მონაწილეობა ვერ მიიღო მუშაობაში. პარკის უფროსს უშვერიძეს [illegible] მოემზადებინა საპონი და შესამშრალებელი რითაც მუშებმა კვირაობით სიამოვნებით ისარგებლეს.

ა. მ.

სასურსათო გადასახადის კამპანია

სულ რამდენია აკრებილი დასავლეთ საქართველოში?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალური ცნობით დასავლეთ საქართველოს შვიდ მაზრაში იანვრის 16-სთვის აკრებილია 86 682 ფუთი სიმინდის ერთეული, ანუ 29,3 პროცენტი მაზრებზე შეწერილი გადასახადისა.

დღეს პირველ ადგილას დასავლეთ საქართველოში რაჭა სდგას, რომელმაც უკვე გადაიხადა 85 6 პროცენტი შეწერილი გადასახადისა.

დიასახლისთა დელეგატების არჩევნები.

საქართველოს კომპარტიის თბილისის მე 4 რაიონულ ორგანიზაციის ქალთა განყოფილება მხურვალედ მოუწოდებს მუშების, წითელ არმიელების და საბჭოთა დაბალ მოსამსახურეების ცოლებს, აგრეთვე ყველა ქალებს, რომელნიც არ ცხოვრობენ სხვისი შრომის ექსპლოატაციით, არამედ პატიოსან მუშაობას ეწევიან თავის სახლში, ან მუშაობენ სხვებთან დღიურათ ან თვიურათ, მაგ. მრეცხავებს შინაურ მოსამსახურეებს ობიექტიური პირობების გამო ყველაზე უფრო მივიწყებულ და მორჩენილ ელემენტის ვიწრო ის შინა ქალებს, რომელნიც უშუალოდ მოწყვეტილნი არიან წარმოებებს, მიიღონ აქტიური მონაწილეობა ქალაქის საბჭოს დელეგატების არჩევნებში დელეგატების არჩევნები დანიშნულია ხუთშაბათს, 18 იანვარს, დღის 4 საათზე საქ. პროფკავშირთა საბჭოს [illegible] დარბაზში.

ეკონომიური ცხოვრება

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში

პრეზიდიუმის შემადგენლობის ცვლილება.

დამტკიცებულია სახ მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ახალი პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: საბჭოს თავმჯდომარე—ამხ. ავაკოვი, პრეზიდიუმის წევრნი ამხ ქალანდაძე, (ლითონის განყოფ. კოლეგიის თავმჯდომარე), პ ლოსოვი (თამბაქოს ტრესტის კოლეგიის თავმჯდომარე), არეშიძე (ცენ სატრანსპორტო სამმართველო) და ბორკონი (სათბობ მასალათა განყოფილების გამგე)

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის რეორგანიზაციის გამო პრეზიდიუმის წევრობის თანამდებობიდან განთავისუფლებული არიან ამხ ავაკოვი და ელბაქიძე.

გადასინჯვა დებულებისა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განყოფილებათა ტრესტებისა შესახებ და მათი შტატებისა.

სახალხო მეურნ. უმაღ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სპეციალურ კომისიას სასწრაფოდ შეუდგეს ახალ დებულებების შემუშავებას განყოფილებათა და ტრესტების შესახებ, იმის გამო, რომ განყოფილებების და ტრესტის ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პრინციპზე გადასვლის შემდეგ დებულებები მათ შესახებ ძალიან აჩქარებით მუშავდებოდა, როდესაც შეუძლებელი იყო განსაზღვრა განყოფილებების და ტრესტების ფუნქციების.

ამასთანავე ერთად გადასწყდა ახლო მომავალში გადასინჯულ იქნას სახ მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შტატები. მაშინ ზოგიერთი ცვლილებები შესატანად განყოფილებათა და ტრესტების პრაქტიკათა თავისებურების მიხედვით.

ეკონომიური განყოფილების განიზაცია

სახ. მეურნ. უმაღლ საბჭოს პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე საჭიროთ სცნო მოახდინოს ცენ საწარმოო-ტექნიკურ განყოფილების რეორგანიზაცია, ამასთანავე ახალ ორგანოს სახელწოდება იქნება „ეკონომიური სამმართველო",—რომლის შემადგენლობაში შევლენ შემდეგი ქვეგანყოფილებები: სტატისტიკური, საწარმოო ტექნიკური, უფლებრივი და სარედაქციო საგამომცემლო.

საფეიქრო ფაბრიკა.

მოსკოვიდან მიღებულია საფეიქრო ფაბრიკის მოწყობილობა, რომელიც უკვე გადატანილია ქუთაისში და ახლო მომავალში დაიდგმება. ამისათვის გადადებულია 107 მანეთი ოქროთი.

სახელმწიფო ღვინის ტრესტში

ნოემბერში დამთავრდა აბ მანს (ზუგდიდის მაზრა) არყის ძველი ქარხანის შენობის და მანქანების კაპიტალური შეკეთება, რომელიც 1 6 ხ წლის განმავლობაში მუშაობდა, დეკემბრის შუა რიცხვებში ქვაბების გაშინჯვის და მოწყობის შემდეგ ქარხანა ამუშავებულია (ტრესტს გამგეობას განზრახული აქვს ქარხანაში ძველი ქვაბების ნაცვლად მოაწყოს ახალი ქვაბები.

ამ ქარხნის ამუშავებით დამთავრდა ტრესტის ორგანიზაციული მუშაობა და ყველა 5 ქარხანა, რომელიც 6 თვის წინ გადაეცა ტრესტს სავსებით დანგრეულ მდგომარეობაში შეკეთებულია და მუშაობს რეგულარულად

საერთაშორისო მდგომარეობა
(თ ე ზ ი ს ე ბ ი).

1. საერთაშორისო მდგომარეობა ამჟამად ძლიერ გართულებულია. იმპერიალისტურ ომის შემდეგ მშვიდობიანი ცხოვრების დამყარება ვერ მოხერხდა, სხვა და სხვა წინააღმდეგობანი უფრო და უფრო მწვავდება და ახალი მსოფლიო ომის საშიშროება რეალური ხდება. მხოლოდ ერთი საბჭოთა რუსეთი აწარმოებს მშვიდობიანობის პოლიტიკას, მაგრამ მისი წინადადება საერთო განიარაღების შესახებ, რომელიც მან შეიტანა გენუის კონფერენციაზე, არც კი განიხილეს, ხოლო მოსკოვში მოწვეული განიარაღების კონფერენცია ჩაშლილ იქნა მისი მეზობლების მიერ. აღმოსავლეთში და დასავლეთში ატმოსფერა მძიმდება.

2. ლოზანის კონფერენცია ტყუილუბრალოთ სცდილობს ახლო-აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტას. 1920 წ. აგვისტოში სევრის ხელშეკრულებას უნდა გაეხადა ოსმალეთი ანტანტის დამონებულ კოლონიად. ამ ხელშეკრულების ძალით სრუტეები და მათთან ერთად შავ ზღვაზე ბატონობა გადავიდა ინგლისელების ხელში. დიდი სახელმწიფოების ამ მტაცებლურმა პოლიტიკამ გამოიწვია ოსმალეთის ხალხის ეროვნული აღშფოთება და ორი წლის განმავლობაში ოსმალეთის ეროვნულმა მოძრაობამ მიაღწია ისეთ გამარჯვებას, რომ სევრის ხელშეკრულება ფაქტიურად (1922 წ. შემოდგომაზე ოსმალების სამხედრო გამარჯვების წყალობით) ნაკუწ ქაღალდათ გადაიქცა, დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები კი იძულებულნი იყვნენ დაედოთ ოსმალეთთან ახალი საზავო ხელშეკრულება, რომლის პირობებსაც ამ ჟამად ლოზანაში იხილავენ.

3. ახლო აღმოსავლეთში მტკიცე ზავის ჩამოგდება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიდი სახელმწიფოები უარს იტყოდნენ მუსლიმანურ ზავის თავის კოლონიალურ ექსპლოატაციის ობიექტად გადაქცევაზე, ხოლო სრუტეების—შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფოების, კერძოთ კი საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ ბაზად გამოყენებაზე.

ლოზანაში რუსეთის დელეგაციის მემორანდუმი აღნიშნავდა, რომ ერთად ერთი საშუალება, რომლითაც შეიძლება მშვიდობიანობის მიღწევა დუნაის ველებზე და ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, არის ყველა ამ ტერიტორიებზე მობინადრე ხალხთა ერთ კონფედერაციაში გაერთიანება თვითეულის ავტონომიის დაცვით.

4. მაგრამ, საერთო რეაქციონური პოლიტიკა, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში დამყარდა ყველა უმთავრეს ქვეყნებში, კაპიტალის შეტევაზე გადასვლის გამო, უკარნახებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს არა მშვიდობიან, წინააღმდეგობათა შემარიგებელ და საერთო, მსოფლიო სახალხო მეურნეობის აღმადგენელ, არამედ მტაცებლურ, დღევანდელი დღის ვიწრო ინტერესების დაცვას. დიდი სახელმწიფოები თითქოს გრძნობენ, რომ დაგროვებულ კონფლიქტების კვანძი შეიძლება მხოლოდ გაჭრილ იქნეს და ამიტომ სცდილობენ, ხელში ჩაიგდონ რაც შეიძლება მეტი სტრატეგიული პოზიციები. ახლო-აღმოსავლეთში მთავარ როლს თამაშობს ინგლისი, რომელმაც ხელები გაიხსნა დასავლეთში ზოგიერთ დათმობებზე წასვლით. მან მიაღწია სრუტეების საკითხის იმ გვარად გადაწყვეტას, რომელიც ნებას აძლევს მას იბატონოს შავ ზღვაზე და შეურყევლად სცდილობს ამ ჟამად მის ხელში ნავთით მდიდარი მოსულის რაიონის დატოვებას.

5 დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ოსმალეთ-საბერძნეთის ომის ქარცეცხლში, საფრანგეთი მეტოქეობას უწევდა რა ინგლისს, ერთგვარ დახმარებას აწევდა ანატოლიის ოსმალეთს. მაგრამ, როდესაც ოსმალეთის გამარჯვებამ მთელი თავისი სიგრძე სიგანით წამოაყენა საკითხი მისი ფაქტიური დამოუკიდებლობის და იმპერიალისტურ კლანჭებიდან განთავისუფლების შესახებ, კაპიტალის კლასიური ინტერესები უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ინგლის-საფრანგეთის კერძო წინააღმდეგობანი და აღმოსავლეთის ხალხთა განმანთავისუფლებელი ზრახვები ხელახლა ეჯახება კაპიტალიზმის საერთო ერთიან ფრონტს და პოულობს თავის მოკავშირეს მხოლოდ იმ რევოლიუციონურ პროლეტარიატში, რომელმაც საბჭოთა რუსეთში დაამხო კაპიტალის ძალა უფლება.

6. ოსმალეთის გაბატონებული კლასები, როგორც სჩანს, არ დაიწყებენ აშკარა ბრძოლას ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, და შეეცდებიან ვაჭრობით გაათავონ საქმე. ასეთ ნაბიჯის გადადგმას უკარნახებს მათ ის სოციალური დიფერენციაცია, რომელიც ჩქარის ტემპით ვრცელდება ოსმალეთის ხალხს შორის. ერთის მხრით თითქოს ერთიანი ნაციონალურ-რევოლიუციონურ გამოსვლაში, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ვითარდებოდა ოსმალეთში, თანდათანობით გამოჰყავს კლასიური აღმშენებლობის და ბრძოლის ნოტები. და თუ ეს ნოტები უფრო შემთანხმებლებს ხდის ოსმალეთის მმართველებს, მაშინ ასეთი შემთანხმებლობა და დათმობა ინგლისის აშკარა მტაცებლურ პოლიტიკის წინაშე, ახალ სტიმულს აძლევს ხალხთა მასების გარევოლიუციონერებას; კერძოთ მოსულში ძლიერდება აჯანყება ინგლისელების წინააღმდეგ, რუსეთის დელეგაცია კი გაბედულ პროტესტს აცხადებს ანტანტის პოლიტიკის წინააღმდეგ და ეუბნება აღმოსავლეთის ხალხებს, რომ თავიანთი განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმოება მათ შეუძლიათ მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან ერთად და მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ პროლეტარიატის დახმარებით.

7. ამგვარად, ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტას ხალხთა მასების ინტერესების სასარგებლოთ, ლოზანის კონფერენცია ვერ შესძლებს მისი მნიშვნელობა მხოლოდ აგიტაციურია და დიდი როლი ამ მიმართულებით ითამაშა რუსეთის დელეგაციამ დიდი სახელმწიფოების იმპერიალიზმის გამომჟღავნებით, დაუპირდაპირა რა მას ნაციონალური და ეკონომიური პრობლემების მშრომელთა მასების სასარგებლოთ გადაწყვეტის მეთოდები.

8 თუ ახლოაღმოსავლეთში შესაძლებელია, მოხერხდა ლოზანის კონფერენციის ბოლომდი მიყვანა, მაშინ დასავლეთში გამარჯვებულ-სახელმწიფოების ცდა გამოენახათ საერთო ხაზი გერმანიის მიმართ პარიზის თათბირზე სრული მარცხით დამთავრდა. ვერსალის ხელშეკრულებამ ამ გერმანიას ისეთი გადასახადები (რეპარაციები) დააკისრა, რომელიც მის ძალ ღონეს აღემატება. ინგლისი, რომელიც უფრთხის საფრანგეთის სამხედრო ჰეგემონიას ევროპის მატერიკზე და რომლის მრეწველობას ძალიან ესაჭიროება საშუალო ევროპის ბაზარი, წინადადებას იძლეოდა ცოტაოდნათ შეემცირებინათ გერმანიის კონტრიბუცია, მიეცათ გერმანიისათვის გადახდის ვადა (მარატორიუმი) და დაეწესებინათ მხოლოდ საერთო კონტროლი გერმანიის მრეწველობასა და ფინანსებზე, და არ მიემართათ ეხლავე რეპრესიულ ზომებს მისი გადახდის შეუძლებლობის გამო.

ინგლისის წინადადება, არ განიხილავდა გერმანიის გადასახადების საკითხს, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტა მოითხოვს ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვას, მაინც ცოტაოდენ შეღავათს აძლევდა გერმანიას.

9. საფრანგეთი, სადაც ამ ჟამად გაბატონებულია უკიდურესი რეაქციონური და შოვინისტური პოლიტიკა, არ დაეთანხმა ინგლისის წინადადებას და გერმანიის მიერ მორიგ გადასახადების შეუტანლობის გამო შეუდგა რურის ოლქის, გერმანიის მსხვილი მრეწველობის ცენტრის ოკუპაციას.

10. საფრანგეთის შემოსევის ნამდვილი აზრი ცინიკურად გამოსთქვა პუანკარემ. „ჩვენ [illegible] ნახშირის ამოსაღებათ მეტი არაფერი", განაცხადა მან დეპუტატთა პალატაში. საქმე იმაშია, რომ ბატონობისაკენ მისწრაფება, რომელმაც მოიცვა საფრანგეთის ბურჟუაზია, ვერ ჰპოულობს საკმაო ეკონომიურ საფუძველს. საფრანგეთის მცხოვრებთა თანდათანი შემცირება, მისი დიდი შინაური და საგარეო დავალიანება და აქედან გამომდინარე ინგლისსა და ამერიკაზე დამოკიდებულება, გადაჭრით უკარნახებს საფრანგეთის ბურჟუაზიას მტაცებლურ იმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკის წარმოებას. კოლონიებში და კერძოთ ახლო აღმოსავლეთში ინგლისისათვის მეტოქეობის გაწევის ცდა, უშედეგოთ დამთავრდა, ყველა მნიშვნელოვანი საზღვაო პუნქტები ინგლისის ხელში რჩება, ნავთის, ეკონომიურ ძლიერების ამ უმთავრეს წყაროს მონოპოლია ინგლისსა და ამერიკას ეკუთვნის. ვერსალის ხელშეკრულებამ მისცა საფრანგეთს რკინის მადანის დიდი მარაგი, მაგრამ რურის ოლქის ნახშირი ამ მადანის დასამუშავებლად დარჩა გერმანიის ხელში. და საფრანგეთი, უთმობს რა ინგლისს აღმოსავლეთში, მიემგზავრება ნახშირის ამოსაღებად,

11. ოკუპაცია ხდება აშკარა ძალადობის ფორმაში. დაკავებულია ქალაქები ესსენი, ბოხუმი, გელზენკირხენი და დორტმუნდი, რომლებიც წარმოადგენენ გერმანიის მსხვილი მრეწველობის ცენტრს, მცხოვრებლებს ოკუპაციისადმი წინააღმდეგობის შემთხვევაში ემუქრებიან სიკვდილით დასჯით, მთელი ეკონომიური ცხოვრება მიდის დანგრევის კარამდე. ინგლისი, რომელიც გაბანდებულია აღმოსავლეთში, იძულებულია შეურიგდეს ამას, ამერიკა კი იწყებს ლაპარაკს ვერსალის ხელშეკრულების უვარგისობის შესახებ, უკან იწვევს თავის საოკუპაციო რაზმებს და დაჟინებით მოითხოვს სამხედრო ვალების გადახდას.

12 ამ რიგად, მდგომარეობა ევროპაში ძლიერ მწვავდება. ეკონომიური და პოლიტიკური სიტუაციის ყველაზე უფრო ზუსტი ბარომეტრი—ბირჟა გამოეხმაურა საფრანგეთის ავანტიურას ფრანკის კურსის უზომო დაცემით.

ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთის იმპერიალისტური პოლიტიკის მძიმე სიმძიმე კისერზე აწვება საფრანგეთის მუშას. სიმშილობა, რომელსაც ამ ჟამად განიცდის გერმანიის მუშა, წარმოადგენს იმ ბედის განსახიერებას, რომელიც მოელის საფრანგეთის პროლეტარს. თუ ის ვერ შესძლებს კაპიტალის ჩაგვრის დამხობას.

13. საფრანგეთს მხარს უჭერენ ბელგია და იტალია. იტალიაში ამ ჟამად შეუზღუდავად დიქტატორობს ფაშისტი მუსოლინი, რომელმაც შემოიღო თეთრი ტერორის რეჟიმი და რომელიც შავრაზმელთა ბანდების დახმარებით და გაუწყვეტელი ძალადობის მეთოდების საშუალებით ცდილობს განამტკიცოს იტალიის ბურჟუაზიის შერყეული მდგომარეობა. ამ სახელმწიფოების ბურჟუაზია ოცნებობს ახალ, წმინდა ფაშისტურ, კონტინენტალურ ანტანტის შექმნაზე, რომელიც იარსებებდა, როგორც შექსპირის შეილოკი ერთი გირვანქა იმავე ცოცხალი ხორცით, რომელიც თავის სხეულიდან უნდა ამოიჭრას გერმანიამ.

14. გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, სოციალ დემოკრატი ებერტი, რომელმაც მთავრობის სათავეში მოიწვია გემების კამპანიის ყოფილი დირექტორი კუნო, ესე იგი იმავე მსხვილი ბურჟუაზიის მთავრობა, რომელიც ამას წინად სტინესის სახით მოითხოვდა, რათა გერმანიის პროლეტარიატს იმუშავა 15 წლის განმავლობაში 2 ზედმეტი საათი იმპერიალისტური ომით გამოწვეულ ვალდებულებათა გადასახდელად, საფრანგეთის შემოტევის საპასუხოდ მოუწოდებს ხალხს, „შეინარჩუნონ ღირსება უძრაობაში".

15. 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის სოციალ დემოკრატები ამსტერდამელებსა და ბურჟუაზიულ პაციფისტებთან ერთად ამას წინად მათ მიერ მოწვეულ ჰააგის საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესზე იმუქრებოდნენ, რომ ბურჟუაზიის ცდას ახალი ომის კოცონის გაჩაღებისათვის ისინი უპასუხებენ პროლეტარიატის საყოველთაო გაფიცვით.

კომუნისტები ამაოდ უჩვენებდენ მათ, რომ წინასწარი მზადების, არმიაში არა ლეგალურ ორგანიზაციის, მოსალოდნელ ახალ იმპერიალისტურ ომთან საბრძოლველად მოქმედების ერთიან საერთაშორისო კომიტეტის დაარსების, ყველა ამ წინასწარ პირობათა გარეშე მხოლოდ და მარტო მუქარის რეზოლიუციის გამოტანა არის არა მარტო ცარიელი და უშინაარსო ჟესტი, არამედ აგრეთვე საზიანო და გამცემლური, რამდენადაც ის ნაცვლად იმისა, რომ გააღვივოს მასებში რევოლიუციონური აქტივობა, სცვლის მას მქუხარე ფრაზების რახარუხით.

16 მომხდარმა ამბებმა ძლიან ადრე დაამტკიცა კომუნისტების სრული სიმართლე.

საფრანგეთის იმპერიალიზმის საზიზღარ პროვოკაციის საპასუხოდ არავითარ საერთაშორისო პროლეტარიატის ერთიან გამოსვლას ადგილი არ ჰქონია, კიდევ მეტი, კვლავ ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1914 წლის აგვისტოს სამარცხვინო დღეებში, მე-2-ე ინტერნაციონალის გმირებს შორის კლასიკური სიტყვები იცვლებიან შოვინისტურად და ვანდერველდე კვლავ ამართლებს მისს და საფრანგეთის ბურჟუაზიას, როგორც თავიანთ სახელმწიფოების ნაციონალურ ინტერესების დამცველებს.

17. ბრძოლის წარმოება ახალი ძალადობის წინააღმდეგ უხდება მხოლოდ პროლეტარიატის რევოლიუციონურ ნაწილებს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან კომუნისტურ ინტერნაციონალს. ესსენში მომხდარ ოკუპაციის წინ მოხდა საფრანგეთის და გერმანიის კომუნისტების თათბირი, რომლებმაც სასტიკი პროტესტი განაცხადეს საფრანგეთის მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ და დაუპირისპირეს მას რევოლიუციონური ბრძოლის ლოზუნგი, და მოითხოვეს მუშათა მთავრობის დაარსება და საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო კავშირის შეკვრა. საფრანგეთის მთავრობამ ამ მოწოდებებს პასუხი გასცა საფრანგეთის კომუნისტების დაპატიმრებით, რომელთაც ბრალი დასდო სახელმწიფოს ღალატში.

18. მაგრამ დღევანდელი დღის მძიმე ატმოსფერაში კომუნისტების მიერ წამოსროლილი აზრები უფრო და უფრო ვრცელდება და პოულობს მხურვალე გამოხმაურებას მრავალ მილიონ მუშათა მასებში.

უფრო და უფრო მოსჩანან მომწიფებულ რევოლიუციონურ აქტივობის ცალკე სიმპტომები. მუშათა მასა გრძნობს რევოლიუციონური ბრძოლის აუცილებლობას, ის დაეძებს ახალ გზებს და ახალ საშუალებებს და მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოში ამ ჟამად გაბატონებული რეაქცია შემთანხმებლების გამცემლურ პოლიტიკის დახმარებით ჯერ ჯერობით იმარჯვებს, მოაქვს რა მასებისათვის ურიცხვი ტანჯვა წამება, ის ამავე დროს აფოლადებს მათ სულს და წვრთნის მათ ბრძოლას. და აზიის ევროპის მუშათა და გლეხთა ყურადღება უფრო და უფრო ეხრება საბჭოთა რუსეთისაკენ, რომელმაც დაახრჩო იმპერიალისტურ ომს და დაიფარა თავისი რევოლიუციონური მონაპოვარი ყველა ქვეყნის იმპერიალისტებისაგან.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

ჩვენი სამეურნეო დაწესებულებების კომერციული უნარიანობის ნიმუში

(უმაღლ. სამეურნეო საბჭოს ცენტრალური სავაჭრო სამმართველოს მიერ ნაწარმოები ოპერაციების გამო).

წარსული წლის ენკენისთვეში უმაღლ. ს. საბჭოს ცენტრალურმა სავაჭრო სამმართველომ საკომერციო მიზნით მოახდინა ფირმა „დელიკატესთან“ ხელშეკრულობის ძალით შემდეგი საქონლის გადაცვლა:

შეიძინა „დელიკატესიდან“

1) 504 ფ. სხვა და სხვა მურაბები	1400 000 მანეთი ფუთი	სულ 705 600 000 მ.ნ.
2) 123 ფ. და 24 გ. პოვიდლო—900 000 მან.		სულ 111 240 000 მან.
3) 25 ბანკა პომიდორი	175 000 მ.ნ.	„ 4 375 000 მან.
4) 25 „ [illegible]	175 000 მან.	„ 4 375 000 მან.
5) 10 ფუთი ხიზილალა	800.000 მან.	„ 8 000 000 მან.
		სულ 833 590 000 მან

სამაგიეროდ მისცა მას:

1) 570 ფუთი [illegible] ქატო	650 000 მ. ფუთი	370 500.000 მან
2) 60 ფუთი ტყავი 5 მილ. ფუთი		300 000 000 მ.ნ
3) 199 ფ. 39 გ. კალც. სოდა	450 000 მან. ფუთი	89 988.750 მან
4) მიეცა ნაღდ ფულად		73 101.250 მან
		სულ 833 590.000 მან.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ თავის დროზე მიუთითა ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს, რომ ეს ოპერაცია არ არის საერთოდ ც. ს. ს. საქმე. მურაბის შეძენა, მისი ისეთი ძვირფას საქონელზე გადაცვლით, როგორიც არის ქატო, ტყავი და სოდა მისთვის არ არის ხელსაყრელი. სავაჭრო სამმართველომ თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ ეს ოპერაცია სისრულეში მოიყვანა. შეძენილი მურაბა გაიგზავნა მოსკოვში იმ ანგარიშით, რომ იგი უნდა გაყიდულიყო ფუთი 15 მანეთად ოქროთი. თითონ ც. ს. სამმართველოს კი, როგორც ზევით ნაჩვენებიდან ჩანს, მურაბა აქ თბილისში, უჯდა 14 მანეთი ფუთი (ოქრო მაშინ ოფიციალური ცნობის მიხედვით ღირდა 1 მილიონ მანეთი). მაგრამ მიუხედავათ ც. ს. სამმართველოს რწმენისა, რომ მურაბა მოსკოვში გაიყიდება, მას მოსკოვიდან თავის რწმუნებულ ტერ-ასატუროვიდან მოსდის დეპეშა, რომ „მურაბაზე მოსკოვში ასეთი ფასები არ არისო“). ინსპექციის უტყუარი (ცნობით მურაბის ფასი მოსკოვში იქ შაქრის სიმრავლის გამო ამ ჟამად არ აღემატება 9 მან 50 კაპ. მურაბა კი ინახება მოსკოვში საწყობებში და უცდის მყიდველს.

ამ რიგათ ც. ს. ს. „დიდი მოგების“ იმედით შეიცვალა „დიდი წაგების“ მოლოდინით.

ცენტრალური სავაჭრო სამმართველო არ უცდის ზემოაღნიშნული ოპერაციის დასრულებას და ყიდულობს საზოგადოება პეტროგუბკომუნიდან კიდევ მეორე პარტიის სხვა და სხვა მურაბას 800 ფუთის რაოდენობით. მხოლოდ აქ განსხვავება ის არის, რომ საქონლის მაგივრად აძლევს შიგ ფულს—1.500 000 მანეთს ფუთში, ე. ი. 100.000 მ.ნ. მეტს ფუთში ვიდრე „დელიკატესს“. ხელშეკრულების მიხედვით მურაბა უნდა იქნეს უმაღლესი ხარისხის, მომზადებული წმინდა შაქარზე და ჩასხმული თითო ფუთიან ქისტის ბიდონებში სამაგიეროდ, ცენტრალური სავაჭრო სამმართველო ვალდებულებას ღებულობს თავის თავზე მისცეს „პეტროგუბკომუნას“ ხელშეკრულების დადებისთანავე 300 მილიონი მანეთი ავანსი, მხოლოდ 10 დღის შემდეგ კიდევ 300 მილიონი მანეთი, ეს იმ პირობით, რომ მომავალში ნაწილობრივ ანგარიშების გასწორების დროს, მურაბის ჩაბარების მიხედვით „პეტროგუბკომუნას“ დაეჭირება მიცემული ავანსის ხარჯში 50 პროც. ხელშეკრულების ვადა თავდება 10 ნოემბერს.

ეს ხელშეკრულება თითქმის თავიდან ბოლომდის დარღვეული იქნა „პეტროგუბკომუნის“ მიერ ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს სრული უყურადღებობის და დაუდევრობის გამო.

1. ხელშეკრულება არ იქნა შესრულებული თავის დროზე და გადაშორებულ იქნა ვადას ორი კვირით.

2. ცენტრალური სავაჭრო სამმართველო არ [illegible] „პეტროგუბკომუნას“ ავანსის დაფარვის მიზნით და ხელშეკრულების თანახმად 50 პროც. ს და იხდიდა ფულს წინდაწინ. ასე რომ 13 ნოემბრისათვის წინ გვიდგა შემდეგი სურათი: „პეტროგუბკომუნას“ ჩაბარებული ჰქონდა ც. ს. სამმართველოსთვის მურაბა 539.146.875 მანეთის ღირებულობით, ხელშეკრულების ძალით მას მიღებული უნდა ჰქონოდა 896 000.000 მანეთი, მხოლოდ ფაქტიურად მიცემული ჰქონდა უკვე 967 000.000 მანეთი.

ყველაზე უფრო კურიოზული გამოდგა ის, რომ ჩაბარებული მურაბის დიდი რაოდენობა, თანახმად მიღების კომისიის ცნობისა, უვარგისი გამოდგა, და ეს გაიგო ც. ს. სამმართველომ მხოლოდ მის შემდეგ, რაც მიღებული მურაბა [illegible] 11 7 ათ მ ხელმეორედ შემდგარმა საექსპერტო კომისიამ, სადაც ორივე მხარეების და ინსპექციის წარმომადგენელიც მონაწილეობას ღებულობენ, კიდევ ცოტა ცვლილების შეტანით, დაადასტურა პირველი კომისიის ცნობა და აღიარა, რომ **ნაწილი მურაბისა დაობებულია, ნაწილს არა აქვს საკმაო შაქარი და ნაწილი კი ცნობილი იქნა როგორც უბრალო სიროფი და არა მურაბა.**

4. ამას გარდა ხელშეკრულება დარღვეული გამოდგა იმ მხრივაც, რომ „პეტროგუბკომუნას“ მიერ ჩაბარებული მურაბა სრულებით არ შეეფერებოდა სპეციფიკაციის მხრივ შეკვეთილ რაოდენობას. მაგალითად: სრულებით არ ყოფილა შეკვეთილი ხელშეკრულების მიხედვით შინდის მურაბა, ჩაბარებულია კი იგი 54 ფუთი, არ ყოფილა შეკვეთილი აგრეთვე [illegible], ჩაბარებულია იგი 29 ფუთი; ყურძნის მურაბა შეკვეთილი იყო 100 ფუთი, ჩაბარებულია კი 47 ფუთი კიდევ მურაბის მაგივრად ჩაბარებულია 104 ფუთი მარმელადი, რაც ხელშეკრულებით აგრეთვე არ იყო გათვალისწინებული.

ამ ოპერაციების გამო ინსპექციამ მიიღო ც. ს. სამმართველოს გამგეობის წევრ ამხ. ტერ-ასატუროვიდან სხვა წვრილმან მოსაზრებებთან ერთად განმარტება, რომ ვითომც მურაბა წინასწარ ყოფილიყოს მათ მიერ გაყიდული რუსეთში „სლავინსკოეში“ 5 მანეთად ფუთი—კუსტარულ სოდაზე გადაცვლით, ინსპექციას კი აქვს უტყუარი ცნობები რომ მურაბა არ გაყიდულა და დღემდის უძრავად ძევს და ფუჭდება ქ. ტფილისში ც. ს. საწყობში.

ამ ოპერაციას ინსპექცია ამ ჟამადაც ფხიზლად ადევნებს თვალყურს და მის საბოლოოდ დასრულებისას არ გაუშვებს შემთხვევას და შესაფერ პასუხს მოსთხოვს იმ პირებს, რომელნიც [illegible]

მ. და გლ. ინსპექციის საინფორმაციო ნაწილი.

კოოპერაცია

ტფილისის მთლიან მუშათა კოოპერატივში

საპაიო კამპანია ტფილისის მთლიან მუშათა კოოპერატივში წარმატებით მიმდინარეობს. უკანასკნელ დღეებში მუშათა კრებებზე მთელ რიგ წარმოებებში გაიმართა მოხსენებები მუშათა კოოპერაციის ამოცანების, კერძოთ—ტფილისის მთლიან მუშათა კოოპერატივის მდგომარეობის შესახებ და სხვ. მოხსენებები და ინტერესს იწვევს მუშა მოსამსახურეთა შორის, მოხსენებლებს აძლევენ აურაცხელ შეკითხვებს: თითქმის ყველგან ერთხმად გამოაქვთ რეზოლიუციები დამატებითი პაიების კოლექტიურად შეტანის შესახებ. ამ ჟამად მთლიან მუშათა კოოპერატივის წევრთა რაოდენობა, რომელთაც შეტანილი აქვთ დამატებითი საპაიო გადასახადი, აღემატება 5,000 პაის რაოდენობა, რომელიც გასასწორებულია ოქროს 1 მანეთით, ამ ჟამად ქართული ბონებით უდრის 400 ათ. მანეთს.

— მთლიან მუშათა კოოპერატივის სავაჭრო ოპერაციები უკანასკნელ დროს ძლიერ გამოცოცხლდა ყოველდღიურად მთლიან მუშათა კოოპერატივის დუქნებში ირიცხება მყიდველების რიგი და სავაჭრო პერსონალი ძლივ აუდის მუშაობას. დეკემბრის განმავლობაში მთლიან მუშათა კოოპერატივის ყველა დუქნებიდან გაყიდულია საქონელი 8,5 მილიარდ მანეთის რაოდენობის. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დეკემბერში საქონელის მოწოდება არა-წევრთათვის სრულებით არ ხდებოდა, და რომ საქონელი ეძლეოდათ მხოლოდ წევრებს, რომლებსაც გადახდილი ჰქონდათ სრული პაი,—შეგვიძლია ვიანგარიშოთ რომ საშუალოდ თვითეული წევრის ხვედრი შეადგენს თითქმის 2 მილ. მანეთს.

ამრიგად, მთლიან მუშათა კოოპერატივის მიერ მუშათა ბიუჯეტის (თავის წევრების მიმართ) დაფარვის პროცენტი აღემატება 50 ს.

— მთლიან მუშათა კოოპერატივის არა სავაჭრო განყოფილებამ შეიმუშავა საკითხი მყიდველ წევრებისათვის პრემიის მიცემის შესახებ. პროექტი უკვე დაამტკიცა გამგეობამ და მთლიან მუშათა კოოპერატივის სარევიზიო კომისიამ და ძალაში შედის 1 თებერვლიდან.

პროექტის მიხედვით პრემია გაცემული იქნება თვითეულ სამი თვის განმავლობაში საშუალო საქონლის ინდექსით. ეს პრემია გაიცემა საქონელზე შეღავათის ნაცვლად თვითეულ ყიდვის დროს.

განზრახულია პრემიების გაცემა არა ფულით, არამედ საქონლით—მანუფაქტურით, ფეხსაცმელებით და სხვა.

— საბოლოოდ განხილულია საკითხი მთლიან კოოპერატივის წევრთა რაიონულ კრებების მოწვევის შესახებ, ხოლო მანამდე მოწყობილი იქნება წინასწარი კრებები ყველა მსხვილ წარმოებებში. რაიონულ კრებების მომწვევ ცენტრალურ კომისიაში შედიან გამგეობის, სარევიზიო კომისიის, პროფკავშირთა საბჭოს და რაიონულ კომისიების წარმომადგენლები.

რაიონულ კრებებზე, სხვა საკითხებთან ერთად, მოხდება რწმუნებულთა და რაიონულ—დუქნებით კომისიების არჩევნები.

— ბორჩალოს მაზრაში მთლიან მუშათა კოოპერატივის სასოფლო სამეურნეო მამულის „მამუ[illegible]ლო“-ს დათვალიერების შემდეგ, დაბრუნდა კომისია გამგეობის წევრის, საწარმოო განყოფილების გამგის ამხ. ძაგანიას და სხვ. შემადგენლობით.

კომისიამ აღნიშნა მამულის კარგი მდგომარეობა და ადგილობრივ შეიმუშავა მოქმედების გეგმა მიმდინარე 1923 წლისათვის მამულში რძის და ყველის დამზადების საქმის პერსპექტივები კარგს იმედს იძლევა მიმდინარე წლისათვის განზრახულია 1000 ფ. შვეიცარიული და 3000 ფუთი თუშური ყველის დამზადება.

კომისიამ დაათვალიერა რძის და ყველის დასამზადებელი რაიონი მამულის გარშემო 15 ვერსის რადიუსით, მოწესრიგებულია დამოკიდებულება გლეხებთან. ზოგიერთ სოფლებთან დადებულია ხელშეკრულება მათი ჯოგის იჯარით აღებაზე. მთლიან მუშათა კოოპერატივის ავტორიტეტი ადგილობრივ გლეხების შორის დიდია.

სასოფლო სამეურნეო ფრონტზე

მევენახეობა 1923 წელში.

ა/წ 6 იანვარს, მიწათ მოქმედების სახ. კომისარიატის მიწადმოწყობის განყოფილებაში გაიმართა თათბირი მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის თავმჯდომარეობით. მევენახეობის და მეღვინეობის ხარჯთ-აღრიცხვის სახით მიღებულ იქნა 38950 მან. ოქროს რაოდენობით.

მიმდინარე წლის მევენახეობის დარგში განზრახულია შემდეგი სამუშაოები. ბაღიანის, ჩუმლაყის, კონდოლის და იყალთოს სანერგეებში 450 000 ცალი ფილოქსერას-მძლე ნამყენი ვენახის შეძენა, 5 სანერგეში ამერიკულ მწარე ლეროწის ჩარგვა 25 დეს. იტ. მიწაზე. ამას დასჭირდება 60 000 ცალი დასამყნელი მწარე ლეროწი, რომლის დამზადებაც განზრახულია ჩუმლაყის და კონდოლის სანერგეებში. მწარე ლეროწზე დამყნის შესწავლად გახსნილ იქნება 4 სანერგეში 2 კვირის კურსები, ხოლო კერძო მევენახეებისათვის მოწყობილი იქნება სანიმუშო დარგვა 27 ნაკვეთ მიწაზე, რასაც დასჭირდება 5400 ცალი ნერგი. მევენახეებისათვის დახმარების აღმოსაჩენად ადგილებზე მოწვეული იქნება 2 ინსტრუქტორი კონდოლის და ჩუმლაყის რაიონებიდან.

ქრონიკა

— **უქმე დღეები.** ა/კ. შრ. სახ. კომ. საქ. რწმუნებულის სამმართველო აცხადებს, რომ 19 იანვარი (ნათლისღება) და 22 იანვარი (1905 წ. 9 იანვრის დღე) არის უქმე დღეები და აღნიშნულ დღეებში, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები განთავისუფლებულ უნდა იქნენ სამუშაოდან.

შინაგან საქმეთა კომისარიატში

— **მოწერილობა.** შინაგან საქმეთა კომისარიატმა წინადადება მისცა რესპუბლიკის მაზრების და ქალაქების აღმასკომებს 1 თებერვლისთვის გამოგზავნონ თითო წარმომადგენელი ტფილისში ცეცხლის ჩაქრობის საქმეების შესასწავლად, რათა მომავალში სასურველად იქნეს მოწყობილი ცეცხლის მქრობელთა რაზმები რესპუბლიკის დაბა-ქალაქებში.

განათლების კომისარიატში

— **ლექციების მოწყობა სანიტარულ განათლების შესახებ.** მუშათა კლუბში, განმანათლებლობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, ამ ოთხშაბათიდან ყოველ ოთხშაბათობით გაიმართება ლექციების კითხვა სანიტარულ განათლების მნიშვნელობაზე. პირველი ლექცია წაკითხული იქნება დღეს, ექიმი აბაკელიას მიერ. დასწრება ყველასათვის უფასოა.

ქალაქის აღმასკომში.

— **საოქალაქო გადასახადი.** საქალაქო გადასახადის ამკრებ მთავარ სამმართველოს ცნობით, მუშები დიდის შეგნებით და თანაგრძნობით ხვდებიან სამოქალაქო გადასახადს. არის შემთხვევები, რომ მუშები იხდიან შეწერილ რაოდენობაზე მეტს, აფასებენ რა გადასახადის უდიდეს მნიშვნელობას.

— **მუშათა სახლის შეკეთება.** ქალაქის აღმასკომის ფინანსიური განყოფილება ამ დღეებში დაიწყებს მუშათა შემაერთებელ კავშირის სახლის შეკეთებას. სამუშაო ხარჯთ აღრიცხვა უკვე გადაეცა პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

მიწათმოქმედების კომისარიატში.

— **თესვის საქმე.** სახალხო მიწათ მოქმედების კომისარიატის ცნობით, თესვის საქმე საქართველოს სხვადასხვა ადგილებში სასურველად მიმდინარეობს. თესლის მიწოდება კომისარიატის მიერ ხდება თავის დროზე იმ მაზრებისათვის, რომელთაც ესაჭიროებათ სათესლე.

სახალხო სასურსათო კომისარიატში

— **წარმომადგენელი შეფუთვის ბიუროში.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა თავის მუდმივ წარმომადგენლად შეფუთვის ბიუროში დანიშნა ამ კომისარიატის საქმეთა მმართველი ამხ. ანშილევიჩი.

— **სახალხო სასურსათო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოების რეორგანიზაცია.** იმ ადგილებში, სადაც სარაიონო კოოპერატიული კავშირები იკისრებენ სახალხო სასურსათო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოთა ფუნქციების შესრულებას, დღევანდელ სამაზრო სასურსათო კომიტეტების ნაცვლად, თანახმად სახალხო სურსათო კომისარიატის დადგენილებისა, დატოვებულ იქნება თანამდებობაზე მხოლოდ სამაზრო სასურსათო კომისარი და ერთი ბუღალტერი. იმ ადგილებში კი, სადაც სარაიონო კავშირები არ არის და ან ამ კავშირებთან შეთანხმება არ იქნება მიღწეული, სამაზრო სასურსათო კომიტეტი არ იქნება გაუქმებული.

სხვა და სხვა.

— **მისაბაძი მაგალითი.** ჩოხატაურის საავადმყოფოს აღსაშენებელ ფონდს თბილისის რკინის გზის კომუნალურმა არტელმა შესწირა ასი მილიონი (100 000.000) მანეთი და თფილისის ქალაქის აღმასკომმა ოცდა ხუთი მილიონი (25 000 000) მანეთი, რისთვისაც პირველსაც და მეორესაც უღრმეს მადლობას უცხადებს ჩოხატაურის საავადმყოფოს აღმშენებელი კომიტეტი ჩვენი ღრმა რწმენაა გამოვსთქვა მით, რომ ამ პირველ გამომხატველს სხვებიც მიბაძავენ და თავიანთ დახმარებით შესაძლებლობას მისცემენ კომიტეტს ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე სასურველად დააგვირგვინონ.

— **მკვლელების შეპყრობა.** სისხლის სამართლის პოლიციამ დააპატიმრა, წარსულ თვეში ვერაგულად მოკლულ მეშვიდე უბნის ხარჯთაღრიცხვის განყოფილების ინსპექტორის გიორგაძის მკვლელი ახმედ ჰასან ოღლი, რომელიც იმალებოდა ადერბეიჯანში, ქალაქ განჯაში. მკვლელი ჩამოყვანილ იქნა ტფილისში და ამ დღეებში გაასამართლებენ.

ხელოვნება

— **ავჭალის თეატრი.** პოლიტიკურ განათლების მთავარი სამმართველო შეუდგა ავჭალის თეატრის შეკეთებას, რომელიც ამ დღეებში დასრულდება. სამმართველო იმუშავებს პროგრამას მიმდინარე სეზონისათვის, მიღებულია ზომები, რათა თეატრი ემსახუროს მუშათა გონებრივ ამაღლების საქმეს. წარმოდგენები დადგმება მუშათა ცხოვრებიდან და რევოლიუციონური ხასიათის, გაიმართება ლექციები საბჭოთა წესწყობილების მნიშვნელობის შესახებ, აგრეთვე ს. რ. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია თეატრში სისტემატიურად გამართავს საღამოებს და სხ.

პროფკავშირებში

სრულიად საქართველოს ბეჭდვითი საქმის მუშათა ყრილობა

მისალმება ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომს.

ამხ. გურსკის წინადადებით, ყრილობამ დაადგინა მისალმოს ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომს, რომლის პირველი სესია იხსნება 15 იანვარს.

ადგილებიდან მოხსენებების გაგრძელება.

წითელი ახალგაზრდობის პრესა. ამხ. ბობრიშევი, რომელიც იძლევა ცნობას „წითელი ახალგაზრდობის“ პრესის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს იმ დაბრკოლებებს, რომელიც მას წინ გადაეღობა. საქმეს ყველაზე უფრო აფერხებდა მუშაკების სიმცირე. ჟურნალის და გაზეთის რედაქციებში მუშაობდა მხოლოდ 2 კაცი, რომელნიც ამის გარდა დატვირთული იყვნენ კომკავშირის სხვა საქმეებითაც. მიუხედავათ ამისა უკვე დიდი მუშაობაა წარმოებული და ამ ჟამად მდგომარეობა გაუმჯობესდა.

გაზეთი „ტრიბუნა“. ამხ. ხოფერია აცხადებს, რომ ყველაფერი რაც ითქვა სხვა გაზეთებზე, შეიძლება ითქვას „ტრიბუნის“ შესახებაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს გაზეთი უფრო მწვავედ განიცდის ქაღალდის კრიზისს.

სამანდატო კომისიის მოხსენება.

ამხ. ბულიუმიანი სამანდატო კომისიის სახელით აცხადებს, რომ ყრილობაზე არჩეულია სულ 41 კაცი, აქედან მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 39 კაცმა, ანკეტები შეავსო კი 35 კაცმა, მათ შორის 30 არის გადამწყვეტი ხმით და 5 კი სათათბირო ხმით.

ეროვნების მიხედვით დელეგატები დანაწილებული არიან შემდეგნაირად: ქართველი 8 კაცი, რუსი 18 კ., სომეხი 6 კ., ოსმალო 1 კ., ებრაელი 4, პოლონელი 2 კ., ბერძენი 1 კ., მუშა 3 კაცი, ინტელიგენტი 31 კაცი. პარტიული შემადგენლობა: კომუნისტი 23 კაცი, უპარტიო 10 კ., ფედერალისტი 1 კ., და ანარქისტი 1 კ.

სამანდატო კომისიის მოხსენება დამტკიცებულ იქნა.

საკითხი ტარიფის შესახებ.

(ამხ. გურსკის მოხსენება)

იმ დროს, როდესაც ტრამვაიში სამუშაო ხელფასი შეადგენს ბიუჯეტის 42 პროცენტს გაზეთებში ის უკეთეს შემთხვევაში უდრის მხოლოდ 15 პროცენტს. ამგვარად იქმნება მდგომარეობა, როდესაც გაზეთის მუშაკების სამუშაო ხელფასის ნაწილი ხმარდება წარმოების ხარჯების დაფარვას. საჭიროა გაზეთის მუშაკების მდგომარეობის გაუმჯობესება და წარმოების ხარჯების ნაწილის დაკისრება სახელმწიფოსათვის, რაც შეიძლება გამოიხატოს ქაღალდის მომარაგებაში, სტამბის დათმობაში და სხვ. 15 პროცენტზე დარჩენა ამიერიდან შეუძლებელია.

გაზეთის მუშაკის შრომა აქამდე არ ყოფილა განსაზღვრული. ყოველ მუშაკს შეუძლია სთქვას, რა უნდა გააკეთოს მან, გაზეთის მუშაკი კი ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ. ამიტომ აუცილებელია პირველ რიგში განსაზღვრულ იქნეს შრომა, და შემდეგ კი მოხდეს მუშაკების დაყოფა სატარიფო ქსელის მიხედვით.

ამ მუშაობაში ჩვენ ვეყრდნობით [illegible] მოსკოვის ტარიფს და მის მიერ შემუშავებულ შრომის ნორმებს. რესურსების სიმცირის გამო გვხდება ქსელის გაიაფება, მაგრამ ნორმები და ხარისხი შენარჩუნებულ უნდა იქნეს.

გადადის რა საკუთრივ ტარიფზე ამხ. მურსკი ლაპარაკობს გაზეთების და „როსტა“-ს სხვა და სხვა კატეგორიების მუშაკების სამუშაო ნორმის შესახებ.

ამხ. პავჩინსკი, რომელიც გამოვიდა თანამომხსენებლად, აღნიშნავს დამხმარე წარმოებათა მნიშვნელობას რესურსების და მაშასადამე სამუშაო ხელფასის გადიდების საქმეში.

ამხ. გურსკის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ დაადგინა დამტკიცებულ იქნეს ტარიფის პროექტი და დაევალოს ახალ ბიუროს მისი გატარება კავშირის ორგანოებში და შემდეგ ცხოვრებაში, ამავე დროს ყრილობა სთვლის, რომ ისეთ პასუხს, როგორიც მიღებულ იქნა პირველად საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო ეკონ. [illegible] განყოფილებისაგან ტარიფის არ დამტკიცების შესახებ წინადადებით რათა დადებულ იქნეს ინდივიდუალური ხელშეკრულებანი, ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

მუშათა ცხოვრება

სახალხო კვების მუშა-მოსამსახურეთა შორის

ამა წლის ცამეტ იანვარს მუშათა ცენტრალურ კლუბში მოწვეულ იქმნა მეორე „რაიკავშირის“ სახალხო კვების მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება.

კრებას დაესწრნენ მუშა-მოსამსახურენი დაუკლებლად და დანიშნულ დროზე.

კრება გახსნა საარჩევნო კომისიის წევრმა ამხ. მასხულიამ, რომელიც იმავე კრების მიერ ერთხმად იქნა არჩეული კრების თავმჯდომარედ.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სიტყვას თავისი მოხსენებისათვის იღებს ამხ. აკოფოვი რუსულ ენაზე ქართულ ენაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ქორიძე. ორივე მომხსენებლები დეტალურად აშუქებენ ქალაქის საბჭოს დაუღალავ სამეურნეო და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას ქალაქის ფარგლებში.

მთელი ხელმძღვანელობა ქალაქის საბჭოს მუშაობაში კომპარტიას ეკუთვნოდა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ საბჭოს მუშაობა ნაყოფიერი და შინაარსიანი გამოდგა ყოველმხრივ.

შემდეგ მომხსენებლები მოუწოდებენ კრებას აირჩიონ საბჭოში კომუნისტები, რომელთაც სურვილთან ერთად დიდი უნარიც გამოიჩინეს სახალხო მეურნეობის აღდგენაში.

კრება დიდის ტაშით ასაჩუქრებს ორივე მომხსენებელ ამხანაგებს; ღებულობს უცვლელად კომპარტიის თბილისის კომიტეტის დეპუტატებისათვის „ნაკაზ“-ს, რის შემდეგ ირჩევს საბჭოში შემდეგ ამხანაგებს: 1) რევია ერმილე—მუშა (კომ.), 2) ამილახვარი რივა—ქალი, (უპარტიო), 3) გავრუშ (კომ. კავშ. წევ.) კანდიდატებად: 1) სიგუა გერ. მუშა (უპარტიო), 2) ნაცვლიშვილი ლიდია—მუშა (უპარტიო)

ზემოაღნიშნული ამხ. არჩეულ იქმნენ ერთხმად. კრება აძლევს დავალებას ახალ არჩეულ დეპუტატებს, რათა მათ მიიღონ „ნაკაზ“-ის ფარგლებში ყოველივე ზომები შრომის პირობების გასაუმჯობესებლად და შრომის ხელფასის გასადიდებლათ.

კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

ადგ. კომ. პასუხისმგებელი მდივანი—მუშა ე. რეგვა.

—

„როზა ლიუქსენბურგის“ სახ. თუთუნის ქარხანაში

არჩევნები აქ მოხდა ამა წლის 10 იან. ა. ს. კრებას დაესწრო 275 მუშა მოსამსახურე და მე-2-ე რაიკომიდან ამხ. ნაზაროვი, [illegible] რევაზიშვილი და მასხულია.

კრების თავმჯდომარედ იქმნა არჩეული ერთხმად ამხ. ხემჩიანცი, მდივნად—გასპარიანცი.

დღის წესრიგია შემდეგი:

1) ქალაქის საბჭოს არჩევნები,
2) მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს რუსულ ენაზე ამხ. ნაზაროვი; იმავე საკითხზე ქართულ ენაზე სიტყვას იღებს ამხ. ბოჩორიშვილი.

მომხსენებლებმა ყოველ მხრივ გააშუქეს მუშაობა ქალაქის საბჭოსი—1922 წელში, აღნიშნეს ისიც, თუ რა დიდს როლს თამაშობდა კომპარტია ქალაქის და სასოფლო მეურნეობის აღდგენაში,—თუ როგორ დაუღალავად და ენერგიულად ატარებდა ის ცხოვრებაში შრომის პრობის დაცვას და მუშა მოსამსახურეთა შრომის ხელფასის ნორმალურად გადიდებას და სხვას. მომავალმა საბჭომ უნდა განაგრძოს თავისი მუშაობა იმავე მიმართულებით და ენერგიით, როგორც ძველმა.

ამის შემდეგ კრება ირჩევს ქალაქის საბჭოში შემდეგ ამხანაგებს: 1) ნაზაროვი ალ. (კომ.), 2) ხემჩიანცი არიკ (კომ.), 3) არეშიშინა ნიკ. (კომ.), და კანდიდატად ამხ. დონცოვა ტანიას—(უპარტიო).

ზემოხსენებული ამხანაგები იქნენ არჩეულნი ერთხმად, რის შემდეგ უცვლელად იქმნა მიღებული კომპარტიის თბილისის კომიტეტის „ნაკაზ“-ი დეპუტატებს.

დასასრულ კრება უსურვებს გამარჯვებას ქალაქის მომავალ საბჭოს და ინტერნაციონალის სიმღერით მუშები უბრუნდებიან თავის ჩვეულებრივ სამუშაოს.

აქაური მუშა გუძი.

—

მეტყავეთა შორის

ამხ. ლენინის ტყავის ქარხანა № 1 მდებარეობს ორთაჭალაში. ამ ჟამად ამ წარმოებაში მუშაობს 320 კაცი.

გარდა ჯამაგირისა, რომელიც საშუალოდ უდრის 3 მილიონ მანეთს თვეში, მუშები, თანახმად კოლექტიური ხელშეკრულებისა, ღებულობენ პროცენტებს თავისი ნორმაზე მეტ დამუშავებულ ტყავის მიხედვით, რის გამო საშუალოდ ხელფასი აღწევს 4 ნახ. მილ. მანეთამდე თვეში.

მაგრამ ჩვეულებრივი ჯამაგირი მეტყავეს არაჩვეულებრივ შრომისთვის არ არის საკმარისი. მართლაც და იშვიათ ანტი-ჰიგიენურ პირობებში მუშაობს ის. მთელი 8 საათი მეტყავე დგას დასველებულ ქვის იატაკზე და იდაყვამდე გაშიშვლებულ მკლავებით რეცხავს და ამუშავებს ნედლ ტყავს ცივი კირის და სხვა წამლებით შეზავებულ წყლით სავსე აუზებში. არ არსებობს სპეციალური მანქანები, რის გამო, ამგვარ მძიმე მუშაობით მუშები ადრე ავათმყოფდებიან რევმატიზმით, მით უმეტეს, რომ მუშაობა სწარმოებს უკადრის ფარდულში, რომელიც არსაიდან არ არის დაცული ცივი ზამთრის ქარისაგან. ვინაიდან მუშაობის ამ მძიმე პირობების შეცვლა ჯერჯერობით შეუძლებელია, მუშებს იმედი აქვთ, რომ ახალი კოლექტიური ხელშეკრულობის წყალობით მაინც შრომის ფასი იქნება სათანადოთ შეფარდებული მუშაობის სიმძიმესთან.

ჯამაგირის ანგარიშში მუშები ვღებულობთ დროგამოშვებით სურსათსანოვაგეს. სპეც-ტანისამოსი და [illegible] ფულიც მივიღეთ.

კულტურული მუშაობა არ არის დავიწყებული. ვღებულობთ გაზეთებს. გვაქვს ორი სკოლა—ქართულ-რუსულ ენაზე. არსებობს აგრეთვე პოლიტუჯრედი, სადაც ჩაწერილია 40 პროცენტი მთელი მუშებისა და კომუჯრედი, სადაც ირიცხება 30 წევრი და კანდიდატი. ორი თვის განმავლობაში გვექნება კლუბიც სამკითხველოთი და ბიბლიოთეკით.

მუშა ეგნატაშვილი.

ამიერ-კავკასიის სახალხო შემაერთებელ კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის მე-2-რე ყრილობა.

(გაგრძელება იხ. „კომ.“ № 9)

გაგრძელება 12 იანვრის სხდომისა.

III სხდომა გაიხსნა 5 საათზე.

თავმჯდომარეობს ამხ. **ლომაძე**.

სიტყვა ეძლევა სომხეთის ც. გ. წარმომადგენელი ამხ. ქუჩულს.

ამხ. ქუჩული მიესალმა ყრილობას სომხეთის დელეგაციის სახელით პრეზიდიუმის წევრათ ასახელებს ამხ. მანუჩარიანცს და სამანდატო კომისიაში—ამხ. [illegible], რომლებიც ერთხმად იქმნენ არჩეული ყრილობის მიერ. ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ ამხ. აღნიშნავს: სომხეთის სახალხო შემაერთებელი კავშირი აერთებს სულ სამას ოცდა ორ წევრს, მათ შორის მამაკაცი 240, ქალი 35 და მოზარდი ახალგაზრდობა 47. მუშაობა პროფკავშირებისა—მოიკოჭლებდა რესურსების უქონლობის და გამოცდილ პროფ მუშაობის უყოლობის გამო. მთელი ჩვენი მუშაობა გამოიხატება მხოლოდ ჯამაგირების გადიდებაში, კულტურული მუშაობა სხვა რესპუბლიკებთან შედარებით ძლიერ ჩამორჩენილია. საერთოდ შეიძლება ითქვას, კავშირის მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი.

მე 3 ე საკითხის შესახებ სიტყვა ეძლევა ამხ. ათარბეგოვს: ა/კ გაერთიანების საკითხი წამოიჭრა ჯერ კიდევ წარსული წლის მაისში, მაგრამ პრაქტიკულად ეს გატარდა ჩემი დანიშვნის შემდეგ. ასეთი დაგვიანების მიზეზი მრავალი იყო. უმთავრესი კი ის იყო, რომ ჩვენ არ გვქონდა საერთო ფულის ნიშნები; ცალკე რესპუბლიკების სხვა და სხვა ფულის კურსი ძლიერ აფერხებდა საქმის მიმდინარეობას.

ა/კ რესპუბლიკების გასაბჭოების შემდეგ ჩვენ ვიცით, თუ როგორ დაგვხვდა კავშირის საქმე. ყველაფერი დანგრეული იყო, მოსამსახურეები გაურბოდნენ უწყებას. ყველაზე უფრო კარგათ იყო დაყენებული საქმე, ჩემი დანიშვნის შემდეგ, საქართველოში. მაგრამ იყო ერთი სნეულება, არამც თუ მარტო საქართველოში, არამედ თვით რუსეთშიაც. ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ემსახურებოდა უმთავრესად სახელმწიფო დაწესებულებებს, იყო შემთხვევები, სრულიად უბრალო საქმისთვის სხვა და სხვა თანამდებობის პირები იკავებდენ ხაზს, ტვირთავდენ მუშაობით ფ/ტ უწყებას. „ნეპის“ დროს დადგა საკითხი სახალხო შემაერთებელ კავშირის სამეურნეო ხარჯებზე გადასვლისა, რაც განხორციელებულ იქნა.

იყო შემთხვევები, როდესაც მუშა მოსამსახურეები არ ღებულობდენ თავის დროზე ჯამაგირს: ერთი რომ შემოსავალი არ ყოფნიდა, და, მეორე ხაზინა არ აძლევდა თავის დროზე ფულებს, რაც იწვევდა ცეკასა და ადმინისტრაციის შორის უკმაყოფილებას.

ყოველივე ძალ-ღონეს ვხმარობდი გამოვეთხოვა მთავრობისაგან ჩვენი კუთვნილი ფული, მაგრამ კიდევ დარჩა საქართველოში რამოდენიმე დაწესებულება, რომლების მომუშავენი ჯერ კიდევ არ არიან მთლიანად დაკმაყოფილებული. შედარებით სომხეთ ადერბეიჯანში უფრო კარგათ იდგა საქმე ჯამაგირების მხრივ; მათ აკმაყოფილებდა ხაზინა თავის დროზე. მივიღე საქართველოს ხაზინიდან სამი მილიარდი მანეთი საქართველოს ვალების დასაფარავად და ამ დღიდან ყველა დაკმაყოფილდება. შევძელი საქმის მოგვარება იქამდე, რომ არც ერთს სახელმწიფო დაწესებულებას, გარდა სამხედრო უწყებისა, არც უფასოდ და არც ნისიათ არ შეუძლიათ ისარგებლონ. შემდეგში დარწმუნებული ვარ, რომ ს. შ. კ. მუშაკნი იქნებიან დაკმაყოფილებული, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა ტეხნიკურად ამაღლება კავშირის საქმისა. ეხლა მე მყავს მოკლე ცნობებს, თუ რა შემოსავალი ჰქონდა გასულ წლის სექტემბრის თვიდან: სექტემბერში 6 მილიარდი, ოქტომბერში 8 მილიარდი, ნოემბერში იგივე და დეკემბერში გაცილებით მეტი. თუმცა ფულის კურსი დაეცა, მაგრამ მომავალში უფრო უკეთ დადგება საქმე, ვიდრე აქამდე იყო. დაწესებულებები: აზერბეიჯანში—86, სომხეთში—31; და საქართველოში 264. ა/კ კომისარიატში ირიცხება სულ 3,941 მომუშავე. მათ შორის საქართველოში 2,427, აზერბეიჯანში 1.146 და სომხეთში—333 სულ ტრაქტი აზერბეიჯანში—3331, სომხეთში—936, საქართველოში—630 ნამბები სულ 15,896 ეხლა გადავალ მომავალ მუშაობაზე. ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხი ეს არის ფოსტის გადაზიდვა. გვაქვს იმედი ახლო მომავალში მოვაწყოთ ავტომობილებით ფოსტის ზიდვა. ბათომის და ბაქოს ქსელი, დღეს ვერ არის კარგად მოწყობილი, მაგრამ ახლო მომავალში აუცილებლად მოწესრიგებული იქნება.

რაც შეეხება რადიო სადგურებს, შეიძლება ითქვას, რომ სდგას თავის დონეზე არსებობს რადიო სადგურები თბილისში, ბაქოში, სოხუმში და შენდება ერევანში.

ვცდილობ გადმოვიტანო ჩვენს განკარგულებაში და შევაკეთო იტალიელების რადიო სადგური, რომლის საშუალებით შეიძლება გვექნება მთელი ფლოტის ყველა კუთხეებთან კავშირის დაჭერისა. თემქას ქარხანა, როგორც ჩვენ ვიცით, იყო სახკომფინანსის მიერ აგებული, შემდეგ გადავიდა უ. ს. ს. განკარგულებაში.

მე მივმართე უმაღლეს სამეურნეო საბჭოს, რომ გადმოეცათ ჩვენთვის ხსენებული ქარხანა. უკვე კომისიამ დაიწყო მისი მიღება. ეს ქარხანა დარჩება მხოლოდ და მხოლოდ სახ. კომფოსტელის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ა/ც. გ. და მე შეთანხმებულად ვმუშაობთ. უმთავრესი ყურადღება, როგორც ჩემი, ისე ცეკას მიმართულია მუშა-მოსამსახურეების დაკმაყოფილებისაკენ.

თუ კი ამდენხანს სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა დროს ღებულობდენ ჯამაგირებს, შემდეგში ეს არ მოხდება. მთელი შემოსავალი გროვდება თბილისში და ბათუმში, საიდანაც ყველას თანაბრად დაურიგდებათ ჯამაგირები, სადაც არ უნდა იყვნენ, თვეში ორჯელ 15 და 30-ში.

მოხსენების გარშემო იყო შეკითხვები, მოხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა.

მოხსენების გამო მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

დან. შელიძე.

პროვინციაში

სახალხო სახლი ონტოფოს თემში (სენაკის მაზრა)

ა. წ. 9 იანვარს შესდგა ონტოფოს სათემო კრება (სენაკის მაზრა).

მიუხედავად ცუდი ამინდისა, კრებას დაესწრო თემის გლეხობის უმრავლესობა. კრება შესდგა სათემო დარბაზში, რომელსაც ადგილობრივად კლუბს ეძახიან.

მომხსენებლად გამოდის თემის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. არტემ ნადარეიშვილი, რომელმაც განუმარტა დამსწრეთ, რომ კრების მოწვევის მთავარ მიზანს შეადგენს—ონტოფოს თემში სახალხო სახლის აგების საკითხი. მომხსენებელი აღნიშნავს ასეთი სახლის მნიშვნელობას, შემდეგ ის აცნობს საზოგადოების გეგმას, თუ როგორ უნდა აშენდეს ეს სახლი და რა წყაროებით.

ამ სტრიქონების ავტორსაც მოუხდა ამ დღეს მოხსენების გაკეთება ამ საგანზე.

კრება დიდის ყურადღებით ისმენდა მოხსენებებს.

გამოვიდა რამოდენიმე პირი გლეხების წრიდან, რომელთაც გამოსთქვეს კრების სურვილი ასეთ ნაბიჯზე.

აღმასკომის თავმჯდომარემ განუმარტა კრებას, რომ სახლის ასაშენებლად უნდა გამოიძებნოს ისეთი წყაროები, რათა თემის გლეხკაცობას არ დააწვეს საგრძნობლად თანხის გაღება; ამხანაგი უთითებდა კრებას მოწოდების საშუალებით ფულის შეგროვებაზე და სხვა და სხვა შემოწირულებებზე.

ამის შემდეგ გამოვიდნენ კრებიდან მოხალისენი, რომელთაც გაიღეს თავიანთი წვლილი სახალხო სახლის ასაგებად; ესენი იყვნენ საბჭოთა მოსამსახურენი.

სია შემომწირველთა:

ვარლამ ნადარეიშვილი—3 მილ. არტემ ნადარეიშვილმა—3 მილ. [illegible] თოფურიძემ—1 მილ. [illegible] ნადარეიშვილმა—3 მილ. დავითი თოფურიძემ—1 მილ. პორფირ ნადარეიშვილმა (სამხედრო პირია) - 700,000 მანეთი გალაკტიონ ნადარეიშვილმა (სამხედრო პირია — 700 000 მან. ანთიმოზ ნადარეიშვილმა—1 მილ. ბათლომე ნადარეიშვილმა—2 მილ. სერგო სიგუამ—1 მილ. ეფრემ გადელიამ—1 მილ. [illegible] ქვანიამ—1 მილ. კონდრატე ბარკალაიამ (დურგალი)—500 000 მ. სოფ. 2 ონტოფომ 25,000,000 მან. (ოცდა ხუთი მილიონი) სოფ. 1 ონტოფომ და ეწერმა—50,000,000 მან. (ორმოცდაათი მილიონი)

ამის შემდეგ არჩეულ იქნა სააღმშენებლო კომისია შემდეგი პირებისაგან: 1) არტემ ნადარეიშვილი, 2) პორფირი ნადარეიშვილი, 3) სერგო სიგუა, 4) ვანო თაკვარელია, 5) პლატონ გოხოლეიშვილი.

სააღმშენებლო კომისიას დაევალა მოწოდებების დამზადება და რწმუნებულ პირთა დაგზავნა საქ. რესპ. სხვა და სხვა ქალაქებში და მუშათა რაიონებში ეთხოვა სამაზრო აღმასკომს მოწოდების დადასტურება.

სახალხო სახლის სიგრძე იქნება 27 არშინი, სიგანე—21 არშინი. მთელი სიგრძე და სიგანის 15 არშინი დაეთმობა სათეატრო ნაწილს, სადაც (ზევით) იქნება აგრეთვე იარუსი. თეატრში დაეტევა დამსწრეები 500-600 კაცი, სახალხო სახლის ერთ ნაწილში მოთავსებულ იქნება თემის ქოხ-სამკითხველო, შემდეგ თემის აღმასკომი თავისი განყოფილებებით.

ონტოფოს თემის გლეხობის მიერ გადადგმული ნაბიჯი მისაბაძი მაგალითია დანარჩენ თემებისათვის. თემის კლუბი და ქოხ-სამკითხველო იქნება კულტურის კერა თემის გლეხკაცობისათვის.

ვ. ნადარეიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ს. სახელმწიფო და კომუნალური ქონების, აგრეთვე კოოპერატივთა ორგანიზაციების ქონების ცეცხლით მიყენებული ზარალისაგან სავალდებულო არა სახელმწიფო დაზღვევის შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის სექტემბრის 16 თარიღით გამოცემული დეკრეტის თანახმად—ტფილისში სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მოწყობის შესახებ და იმ მიზნით, რათა კერძო პირთა და კოლექტივების სარგებლობაში მყოფი სახელმწიფო და კომუნალური ქონება, აგრეთვე კოოპერატივების კუთვნილი ქონება უზრუნველყოფილ იქნეს ცეცხლით მიყენებული ზარალისაგან, საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა კერძო პირი და კოლექტივი (არტელი, ამხანაგობა, საზოგადოება, კომუნა, კოოპერატივი და სხვ.), ვის სარგებლობასა და განკარგულებაშიაც საიჯარო წესით ან, იჯარის გარდა, სხვა საფუძვლით არის სახელმწიფო და კომუნალური ქონება და საწარმო, მოვალეა ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში, ხოლო კოოპერატივი—ერთი თვის განმავლობაში—წარადგინოს რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის დაარსებულ სამმართველოში, ან მახლობელ სარაიონო დამზღვევ სააგენტოში სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს მიერ დაწესებული განცხადება ქვემოდ ჩამოთვლილ ქონებათა დაზღვევის შესახებ.

შენიშვნა: დასაზღვევად წარდგენილ უნდა იქნეს; ყველა ის სახელმწიფო და კომუნალური ქონება, რომელიც იჯარით, ან სარგებლობის სხვა სახით არის გაცემული; ხოლო კოოპერატივთა ქონებიდან—შენობა და საწარმოოს მოწყობილობა.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში სახელმწიფო და კომუნალური დაწესებულებანი, რომელთაც იჯარით ან სარგებლობის სხვა სახით გაცემული აქვთ სახელმწიფო და კომუნალური ქონება და საწარმო, მოვალეა წარუდგინოს სამმართველოს ან მახლობელ სარაიონო სააგენტოს ნუსხა ზემოდ დასახელებულ ქონებათა და საწარმოოსი, და თანაც აღნიშნოს:

ა) მათი სახელწოდება, შედგენილობა და ადგილმდებარეობა;

ბ) საფუძველი, რომლის ძალითაც გადაეცა კერძო კოლექტივებს (იჯარით თუ სხვა სახით) ხსენებული ქონება და საწარმო, აგრეთვე გადაცემის ვადა.

გ) ასეთი პირების და კოლექტივების სახელი და მისამართი.

3. მომავალში ამ სახელმწიფო და კოლექტიური ქონებისა და საწარმოოს იჯარით ან სარგებლობის სხვა სახით გადაცემის დროს კერძო პირებისა და კოლექტივებისათვის,

როგორც ის დაწესებულება, ვინც ამ ქონებას კერძო პირსა და კოლექტივს გადასცემს, ისე ის კერძო პირი და კოლექტივი, ვინც ამ ქონებას მიიღებს, მოვალეა ქონებას ან საწარმოს გადაცემის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში შეასრულოს ამა დეკრეტის პირველი და მეორე მუხლის მოთხოვნილება.

4. დაზღვევა იმ ქონებისა, რომლის სახელმწიფო—არა საბეგრავი-დაზღვევაც სავალდებულოა, სწარმოებს მოიჯარადრეთა და გამგეთა ხარჯით იმ შეფასების მიხედვით, რომელსაც დაადგენენ სახელმწიფო დაზღვევის ამიერ-კავკასიის სამმართველოს ორგანოები და თანახმად სატარიფო წესებისა და განკვეთისა.

შენიშვნა: უკეთუ სახელმწიფო ან კომუნალური დაწესებულება, რომელსაც ხელშეკრულება აქვს დადებული მოიჯარადრესთან ან გამგესთან, ან ეს უკანასკნელნი არ დაეთანხმებიან იმ შეფასებას, რომელსაც მოახდენ სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოები, მათ შეუძლიანთ ამის შესახებ შეიტანონ განცხადება ადგილობრივ დამზღვევ სამმართველოში, ხოლო თუ ეს—უკანასკნელი უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე,—ასეთი განცხადება უნდა გაუგზავნონ სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოს საბოლოოო გადასაწყვეტად, მაგრამ ასეთი განცხადების შეტანა ვერ შეაჩერებს დაზღვევას და ქონების მფლობელს არ ანთავისუფლებს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების ყველა კანონიერი მოთხოვნილების შესრულებისაგან და დასაზღვევი პრემიის გადახდისაგან.

5. მოიჯარადრე და სხვა სახის გამგე იმ სახელმწიფო და კომუნალური ქონებისა და საწარმოოსი, რომელიც დაზღვეულ უნდა იქნეს სახელმწიფო სავალდებულო არა საბეგრავი დაზღვევის წესით, მოვალეა მიუშვას სახელმწიფო დაზღვევის წარმომადგენლები ხსენებული სახელმწიფო და კომუნალური ქონების და საწარმოოს დასათვალიერებლად და გაუწიოს მათ სათანადო დახმარება: შეასრულოს და მონაწილეობა მიიღოს დაზღვევისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის და აქტის შედგენაში (აღწერილობისა, შეფასებისა, გეგმისა და სხვ.) და, საერთოდ, დაემორჩილოს სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევისათვის დადგენილ ყველა წესებს.

6. ამა დეკრეტის მოთხოვნილებათა დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი, ან კერძო პირი, როგორც იჯარით ან სარგებლობის სხვა სახით ამღები სახელმწიფო ან კომუნალური ქონებისა ისე ამ ქონების გამცემი, აგრეთვე ის პირი და დაწესებულება, რომელიც თავის დროზე არ დააზღვევს ამა დეკრეტის ძალით სავალდებულო არასაბეგრავი სახით დასაზღვევ ქონებას,—მიცემულ იქნება კანონიერ,—დადგენილი წესისამებრ,—პასუხისგებაში. როგორც მთავრობის განკარგულებათა არ აღმსრულებელი. ამის გარდა, ამ პირთ, იმ შემთხვევაში, უკეთუ ცეცხლისაგან დაზარალდა ხსენებული ქონება, რომელიც მათის მიზეზით არ იყო დაზღვეული, გადაჰხდებათ,—ურთერთი პასუხისმგებლობით, ის ზარალი, რაც სახელმწიფოს ან კომუნალურ მეურნეობას ცეცხლისაგან მოუვა.

7. ყოველი სარჩელი, რომელიც შეიძლება აღიძრას დაზღვევის სამმართველოს წინ აღმდეგ, განიხილულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულების მიერ; ამასთანავე სარჩელი შეტანილ უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის საფედერაციო სახელმმწიფოს დაზღვევის სამმართველოს და მისი ადგილობრივი კანტორებისა და აგენტების სამყოფელი ადგილის მიხედვით.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 13.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება

ს. ს. ს. რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის სამრეწველო საქონელზედ ნორმალურ შეფასების დაწესების და სამ პროცენტიან გადასახადის აკრეფის შესახებ.

№ 129

13 იანვარი 1923 წელი.

1. თანახმად საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა 1922 წლის 25 აპრილის თარიღით № 1, რომელიც კომისართა საბჭოს დადგენილებით 4 იანვრიდან 1923 წ. № 1 გავრცელებულია 1923 წელში, დაწესებულ იქნას მიმდინარე 1923 წლის იანვრიდგან **სამრეწველო** საქონელზედ შემდეგი ნორმალური შეფასება, რომლის თანახმადაც მოკრიფოს სამ პროცენტიანი (3) გადასახადი.

№№ რიგზე.	საქონლის დასახელება.	ნორმალური შეფასება.	3 პროცენტიანი გადასახადი.
1	**მსხვილ ფეხა საქონელი ყველა ჯიშისა და კამეჩები:**		
	ა) ხარი, ძროხა, დეკეული, მოზვერი, ხარ-კამეჩი, ფურ-კამეჩი, ხარ-ზაქი, ფურ-ზაქი, ერთი წლისა და მეტისა . . .	10,000,000	300,000
	ბ) ხბო და ზაქი ერთ წლამდე . .	3,000,000	90,000
2	**ღორი:**		
	ა) ექვსი თვისა და მეტისა . . .	5,000,000	150,000
	ბ) გოჭი ექვს თვემდე. . . .	1,000,000	30,000
3	**ცხვარი და თხა:**		
	ა) ექვსი თვისა და მეტისა . . .	2,000,000	60,000
	ბ) თიკანი და ბატკანი ექვს თვემდე. .	1,000,000	30,000

2. ამ დადგენილების განხორციელება ევალება მიწათ-მოქმედების კომისარიატის ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარის მოადგილე **კანდელაკი.**

ვეტერინარ-სანიტარული განყოფილების გამგე **დ. ახმეტელი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ოთხშაბათს 17 იანვარს და შაბათს 2 იანვარს, საღამოს 6 საათზე ბეჭვდითი კავშირის ბინაზე შესდგება **მედვედევის** წრის კრება.

— კვირას, 21 იანვარს,—11—2 საათამდე ამიერ-კავკასიის საგანგებო რაზმის შენობაში შესდგება **გალკინის** წრის კრება.

— სამშაბათს 23 იანვარს და შაბათს 27 იანვრს საღამოს 5 ს.—7 ს. საქ. კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტის ბინაზე გაიმართება **გალკინის** წრის კრება.

— ოთხშაბათს, 24 იანვარს, საღ. 7 საათზე სკოლის გარეშე მუშაკთა სახლში გაიმართება **პენიაკოვის** წრის კრება.

— შაბათს, 27 იანვ., საღამოს 7—9 ს. ცენტრ. პარტიულ სკოლის შენობაში გაიმართება ამხ. **ნოვიკოვის** ხელმძღვანელობით სტუდენტთა წრის კრება.

— ს. კ. პ. ტფილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომი იტყობინება, რომ 1923 წ. 17 იანვარს, ოთხშაბათს საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში შესდგება საერთო-რაიონული კრება.

დღის წესრიგი:

1. მე-2-ე რაიკომის ანგარიში მაისიდან—1923 წლის იანვრამდე.
2. რაიკომის ხელახალი არჩევნები.
3. მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა პარტიის ყველა წევრების და კანდიდატების თავის დროზე გამოცხადება.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს უმაღლეს სასწავლებლების ყველა პარტიის წევრებს, კანდიდატებს და ახალგაზრდობის კომკავშირის წევრ სტუდენტებს, რომელნიც დაბადებულნი არიან 1901 წ., პარტიულ ორგანიზაციაში ჩარიცხულნი არიან 1922 წლ. 1 მარტამდე და რომელნიც 1922 წ. დროებით განთავისუფლებული იქნენ პარტიულ მობილიზაციისაგან, გამოცხადნენ არა უგვიანეს მიმდინარე წლის 20 იანვრისა ტფ. კომიტეტის საღრიცხვო-სასტატისტიკო ქვეგანყოფილებაში ანკეტის შესავსებად.

იმათ ვინც აღნიშნულ ვადაში არ გამოცხადდება, წაერთმევათ შემდეგში შეღავათით სარგებლობის უფლება.

ტ. კ. მდივანი **კახიანი.**

— ხუთშაბათს, 18 იანვარს, დილის 9 ს. (წინად დანიშნულ 12 საათის მაგივრად), ამხ. ლენინის სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის შენობაში, ფიზიკურ აუდიტორიაში (შესავალი ახალი თეატრის სადარაჯო კარებიდან) დანიშნულია განათლების მუშაკთა კავშირის 2 რაიონის წევრთა კრება სარაიონო ადგილობრივ კომიტეტის ასარჩევად.

ამ კრებაზე ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

გამოუცხადებლობა ჩაითვლება პროფდისციპლინის დარღვევათ.

განცხადებები

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
სამმართველო

ამით აცნობებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცალკე **სახალხო კომისარიატებს** და დაწესებულებებს, რომ ამა წლის 15 იანვრიდან **კრედიტით გადაზიდვა** ნება დართული იქნება მხოლოდ **სახელმწიფო ბანკში მიმდინარე ანგარიშის უზრუნველყოფის პირობით**, ამის გამო **სახალხო კომისარიატებს** ვთხოვთ მათ მუშაობაში დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად მიიღონ სასწრაფო ზომები სახელმწიფო ბანკში სათანადო კრედიტის თავის დროზე გახსნისათვის.

დედანს ხელს აწერს სამმართველოს კომერციული დირექტორი **ლედერი.**

ეკონომიური ნაწილის უფროსი **აბელოვი.**

(კრ. 54—3—3)

დაიკარგა ვარვარა ივანეს ასული ორსოშვილმა პირადობის მოწმობა 1922 წ. 28 თებერ. № 100 ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
ცენტრ. ს ტრანსპორტო
განყოფილების
სატრანსპორტო-საექსპედიციო-საკომისიო
კანტორა

ამით აცხადებს სახელმწიფო-საზოგადოებრივ, კერძო ორგანიზაციების და პირთა საყურადღებოთ, რომ იგი იღებს ყოველგვარ დავალებას ქალაქის ფარგლებში ტვირთების გადასაზიდათ, ამიერ-კავკასიის და რუსეთის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის რკ. გზებზე საქონლის გასაგზავნათ კანტორა იღებს აგრეთვე გრძელი და მოკლე ვადით თავის საწყობებში ქალაქის ყველა ნაწილებში, საქონელს და სხვადასხვა საოჯახო ნივთების შესანახად მალიან ზომიერ ფასებში. სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს ემლევათ შეღავათი.

ც. სატრანსპორტო განყოფილების კანტორა მოთავსებულია თამამშევის ყოფ. ქარვასლაში თავისუფლების მოედანზე (ყოფ. ერევნის მოედანი). კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე ტელეფონი № 7 27.

კრ. 63—3—2 **ც. სატრანსპ. განყოფილების კანტორა.**

მუშათა ფაკულტეტი, საერთო განათლების კურსების მსმენელებს და ტეხნიკუმის ჩამორჩენილ მოწაფეებს ვამზადებ
მათემატიკაში:
არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში, ტრიგონომეტრიაში, რუსულ გერმანულ ენებში და ვამზადებ მისაღებისათვის მოწმობაზე და სხვადასხვა შესავლელ ყველა კლასებში გამოცდებზე. პლეხანოვის ქუჩა № 25, შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5. 9—1 ს. 3 6 ს.
(30—3 2)

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვლებულ კაპიტულინი ფეოდორის ასული ფილდტის დარჩენილ ქონებაზე, რათა განაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის ვადაში.

50—1—1

სახელმწიფო კონსერვატორია
კვირას 21 იანვარს, დღისით
სიმფონიური
კონცერტი
კონსერვატორიის დირექტ. ზაქ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით
დასაწყისი დღ. სრულ 12 საათ.
ბილეთები 75 000—500.000 მ. იყიდება კონსერვატორიაში
11—2 და 6—8 საათ საღ.

48—2 1

აღმასკომის გადასახადთა
ბიურო

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს 17 იანვარს დღის 12 ს. დანიშნულია აღმასკომის საკრებულო დარბაზში ხელმეორე

საჯარო ვაჭრობა

შემდეგ ბაკებზე:

1) პოსტოიალის შესახვევი	№ 2
2) „	№ 3
3) დისიმონოვის მოედანი	№ 25
4) კახეთის ქუჩა	№ 8
5) ვარანცოვის ქუჩა	№ 67
6) დესიმონოვის ქ.	№ 29
7) პოდვოდნი ქუჩა	№ 6
8) 19 თებერვლის ქუჩა	№ 89
9 პოდვოდნის შეს	№ 6
10) კახეთის ქუჩა	№ 38
11) დესიმონოვის მოედანი	№ 31
12) კახეთის ქუჩა	№ 40
13) ვარანცოვის ქუჩა	№ 43
14) „ „	№ 28
15) საბურთალოზე	
16) ოლღას ქუჩა	№ 27
17) ჩერქეზიშვილის ქუჩა	№ 44
18) კახეთის ქუჩა	№ 36
19) საანი მოედანი	№ 1
20) სოფიაარქისის შესახვევი	№ 2

დანარჩენ ბაკებზე, რომლებიც გაიცა 14 იანვარს საჯარო ვაჭრობით შესდგება მხოლოდ ლოთთვის „პერეტორჟკა“.

ყოველივე პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში საიჯარო მაგიდის გამგესთან, კრ. 64—1—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით. **რენტგენი დ'არსონვალი**
მიხეილ გედევანიშვილის სახელობით

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობას საჭიროებენ. ექიმობა ტფილისის ნერვიულ განყოფილებათა. სავადმყოფოს სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, კოჯორანოვის ქ. № 20. (733—25—15)

დაიკარგა ახალის წიგნი მითერთმეტე უბნის მდებარის ჩერქეზოვის ქუჩაზე პოლიკარპე ნ. მაჭარაძე ჩა
თვალოს გაუქმებულად 49—1—

საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალური
≡კავშირი≡
(ცეკავშირი)
აერთიანებს საქართველოს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

მთავარი კანტორა: ტფილისი შტაბის ქ. 4—6 ტელ. 1—92 ტელეგრაფით მისამართი: ტფილისი ცეკავშირი.

შესდგება ორი სავაჭრო და არა სავაჭრო (სეკრეტარიატის) დარგებისაგან.

სავაჭრო დარგი: აწარმოებს ყოველნაირ სავაჭრო ოპერაციებს, როგორც რესპუბლიკის საზღვრებში (მიკავშირებულ ორგანიზაციების საშუალებით), ისე საზღვარ-გარეთაც (წარმომადგენლების საშუალებით); ამზადებს, როგორც ნედლეულობას, ისე ადგილობრივ ნაწარმოების ყოველგვარ პროდუქტებს; აწარმოებს საკომისიო ოპერაციებს: აქვს სატრანსპორტო-საექსპედიციო განყოფილება, რომელიც ასრულებს ყოველნაირ დავალებებს, როგორც კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციების, ისე კერძო პირების ას.

განყოფილება და წარმომადგენლობები: 1) განყოფილება ბათომში: მ ხაილოვის ქ № 10; 2) წარმომადგენლობა ევროპაში ბ. ელიავა დოკი; 3) წარმომადგენლობა ყირიმში ქ. იალტა ვინოგრადნაია 11; 4) წარმომადგენლობა ბაქოში, პოჩტოვაია 82; 5) წარმომადგენლობა სტამბოლში (ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სტამბოლის განყოფილება); 6) წარმომადგენლობა ოდესაში პრეობრაჟენსკაია 11 ბინა 6; 7) წარმომადგენლობა ნოვოროსიისკში, ცემსკაია 27; 8) წარმომადგენლობა ხარკოვში, დიმიტრიევსკაია 15; 9) წარმომადგენლობა სევასტოპოლში, ნახიმოვსკაია 6.

ცეკავშირის საკუთარი წამოწყებები

1) **საპნის ქარხანა**, ტფილისი, ვარანცოვის ქ 106 ტელ. 18—08; 2) **ქსოვის ქარხანა**, ტფილისი, კარუსელნაია 18 ტელ. 11—80; 3) **საკონსერვო ქარხანა გორში**, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ტეხნიკურად გადამუშავება; 4) **სტამბა**, ტფილისი, პლეხანოვის პრ. № 71 ტელ 11—80. დაკვეთების მიღება ყოველნაირ სასტამბო სამუშევრისა; 5) საკუთარი გემი „საქართველოს კოოპერაცია“.

ცენტრალური საწყობი: ტფილისი, დროვიანაია 1, ტელ. 19—70.

არა სავაჭრო დარგი (ანუ სეკრეტარიატი) აწარმოებს მუშაობას საიდეიო-საორგანიზაციო სფეროში და იყოფა შემდეგ განყოფილებებათ:

1) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო-ინსტრუქციული და ორგანიზაციული დახმარება ყველა სახის კოოპერატიულ ორგანიზაციისათვის.
2) სასტატისტიკო-ეკონომიური-კოოპერატიული სტატისტიკა, ინფორმაცია, ეკონომიური გამოკვლევა და სხ.
3) საგამომცემლო—გამოცემა ყოველნაირი წიგნების, ბროშურების და სხ. კოოპერატიული და ეკონომიურ შინაარსიანი, საკუთარი კოოპერატიული ორგანოს „კავშირის“ გამოცემა, დაკვეთების მიღება ყოველნაირ სასტამბო მუშაობაზე და სხ.
4) კოოპერატიული განათლების—კოოპერატიული განათლების საორგანიზაციო ცენტრი, წიგნის მაღაზია, კოოპერატიული ორგანიზაციების კონსულტაცია მათში კოოპერატიული განათლების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ.

მიმდინარე ანგარიში ბანკებში:

სახალხო ბანკში: უბრალო მიმდინარე ანგარიში № 18, სპეციალური მიმდინარე ანგარიში № 16.
კოოპერბანკში: უბრალო მიმდინარე ანგარიში № 3, სპეციალური მიმდინარე ანგარიში № 6.

(კრ. 65—8—1)

ტირაჟი 10,000 ც. ს. დ. ჩ.

[illegible] ქ. № 4.